პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

15 აგვისტო პარასკევი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი

№ 189 (14489)

## ხუთწლედი — ვადამდე

## 4 მილიონი მანეთით მეტი

ქუთაისი. (საკ. კორ.). შეჯამებულია ქუთაისის მრეწველობის შვიდი თვის მუშაობის შედეგები.

ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, დიდძალი ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს და 186 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სხვადასხვა ნაწარმის რეალიზაცია მოახდინეს, რითაც 4 მილიონი მანეთით გადააჭარბეს შვიდი თვის დავალებას.

განსაკუთრებით იჩახელეს თავი ლითოფონის ქარხნისა და აბრეშუმის კომბინატის კოლექტივებმა. პირველმა გეგმის გადაჭარბებით მოახდინა ასეულ ათასობით მანეთის, ხოლო მეორემ — ნახევარ მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქციის რეალიზაცია.

პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და ნაკეთობათა გამოშვების დავალებები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე სატრაქტორო, ელექტრომექანიკური, რეზინის ტექნიკური ნაწარმის, მინის ტარის, ავტოსარემონტო ქარხნების, № 1 და № 2 სამკერვალო გაერთიანებების, მაუდის, ტრიკოტაჟის, საკონდიტრო ფაბრიკების, ტყავ-ფეხსაცმლისა და პურის კომბინატების, „ქუთბარიტის“ მაღაროთა სამმართველოს და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

## ამცირებენ თვითღირებულებას

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). მაღალნაყოფიერად შრომობს „ტყვარჩელქვანახშირის“ ტრესტის [illegible] შახტის კოლექტივი. ამ მოწინავე საწარმომ წარმატებით გაანაღდა ქვანახშირის მოპოვების შვიდი თვის დავალება. მიმდინარე წლის დასაწყისიდან მეშახტეებმა ვალდებულებით ნაკისრი 3 ათასი ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მისცეს 6 ათას ტონაზე მეტი ზეგეგმითი ქვანახშირი.

აქ მაღალი ტემპით მიმდინარეობს სამთო გამონამუშევრების გაყვანის სამუშაოები. ქვანახშირის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების გზით მეშახტეებმა წელს ათეულ ათასობით მანეთი დაზოგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირუტყვი უსაკვებოდ?!

ამას წინათ გამოქვეყნდა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების მიმდინარე წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმების შესრულების შედეგების შესახებ. წინსვლის ამ მეტყველი ციფრებიდან აშკარად ჩანს საქართველოს სოფლის მშრომელთა ჩინებული საქმეები. სხვა დარგებთან ერთად ვითარდება მეცხოველეობაც. ნახევარი წლის შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ მხრივ საქმე თითქოს ცუდად არ არის. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ექვს თვეში აწარმოეს 13,7 ათასი ტონა ხორცი, ანუ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 700 ტონით მეტი. შარშანდელთან შედარებით გაიზარდა რძისა და კვერცხის წარმოებაც.

გეგმები სრულდება. ეს კარგია, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ზოგიერთი რაიონი პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გეგმებს მოწინავე საზოგადოებრივ მეურნეობათა ხარჯზე ასრულებს. ჩვენი ამოცანა კი ის არის, რომ გეგმებს ყველა მეურნეობა ასრულებდეს. ამასთან ყურადღება უნდა მიექცეს პირუტყვის სულადობას. განა იშვიათია შემთხვევა, როცა ესა თუ ის მეურნეობა გამხდარ პირუტყვს აბარებს. რაიონების პარტიულმა და სამეურნეო ორგანოებმა ამას მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ. ამ საქმეში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ზოოტექნიკოსებს, ვეტერინარებს, ყველას, ვინც მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის იბრძვის.

ზაფხული მიიწურა. ახლა ბევრი საქმე აქვთ სოფლის მშრომელებს. გადაუდებელ საქმეთა შორის განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებს პირუტყვის საკვების დამზადება, ნორმალური გამოზამთრებისათვის მზადება. ახლა არავისათვის არ არის უცნობი, რომ მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საფუძველთა საფუძველი მტკიცე საკვები ბაზაა.

როგორ მიმდინარეობს საკვების დამზადება?

რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი მონაცემებით უხეში საკვები დამზადებულია 258.064 ტონა. გეგმით კი დასამზადებელია 916.226 ტონა. ამ ციფრების შედარებიდან ცხადია, რომ პირუტყვისათვის უხეში საკვების დამზადების საქმე აშკარად საფრთხეშია. საკვების დაგროვების ძვირფასი, ხელსაყრელი დრო კი მიდის.

აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთმა რაიონმა სათანადოდ იზრუნა საკვების დაგროვებისათვის. ამ მხრივ სამაგალითოა სიღნაღელ და წითელწყაროელთა საქმიანობა. ამ ორი რაიონის მშრომელებს მოსავლის აღების ცხარე დღეებშიც პირუტყვის საკვები ბაზის განმტკიცებაზე ზრუნვა მხედველობიდან არ გამორჩენიათ. მათ დიდი გადამეტებით შეასრულეს მარცვლეულის წარმოებისა და დამზადების გეგმები. ამასთან ნაწვერალს მაშინვე ხნავდნენ და სასილოსე სიმინდს თესავდნენ. მათ რესპუბლიკაში პირველებმა შეასრულეს ნაწვერალზე სიმინდის თესვისა და უხეში საკვების დამზადების გეგმებიც.

სიღნაღელებმა (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი დ. გელაშვილი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. კრაწაშვილი, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ბ. დავითაშვილი) ნაცვლად 23.324 ტონისა დაამზადეს 26.846 ტონა უხეში საკვები. ასევე ითქმის წითელწყაროელებზეც (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ა. გონაშვილი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ბალაშვილი, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ი. ხუცურაული). წითელწყაროელებმა ნაცვლად 38.092 ტონისა დაამზადეს 38.797 ტონა უხეში საკვები. მათ პურეულის აღების შემდეგ 3.000 ჰექტარზე დაუოვნებით გათიბეს უხეში საკვები — ეს ხომ სულ მცირე ამდენივე ტონა საკვებია. რა თქმა უნდა, სიღნაღელ და წითელწყაროელ მეცხოველეებს მკაცრი ზამთარი ვერ შეაშინებთ, და პროდუქტების წარმოების საქმეც აღმავლობის გზით წავა. კარგად მიმდინარეობს უხეში საკვების დამზადება აგრეთვე თელავის, ყვარლის, გურჯაანის, გარდაბნის, ლაგოდეხის რაიონებში.

მართალია გაზაფხული და ზაფხული ჭირვეული ამინდებით ხასიათდება, მაგრამ ამით თავს ვერ იმართლებენ ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ქარელის, კასპის, მარნეულის, ბოლნისის, წალკის, დუშეთის, დმანისის, თიანეთის, სამტრედიის რაიონების, აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელები. ეს რაიონები და ოლქები უხეში საკვების დაგროვებაში ჩამორჩნენ, ხელიდან უშვებენ საუკეთესო დროს.

ცნობილია, რომ უხეში საკვები ზაფხულში აგროვადებში უნდა დამზადდეს, თუ ბუნებრივი და ნათესი ბალახები საკმაო მოსავალს ვერ იძლევა, საჭიროა პურეულის ნამჯით შევავსოთ საკვები ბაზა. მაგრამ ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელები ნამჯის დროულად გამოტანასა და დაზვინვაზე რატომღაც ნაკლებად ზრუნავენ. ჩამორჩენილთა შორის ზოგიერთ რაიონს საგანგაშო მდგომარეობა აქვს. მათ ავიწყდებათ, რომ პირუტყვის უსაკვებოდ გამოზამთრება წარმოუდგენელია. გულდამშვიდება საქმის საზიანოა.

ახალქალაქის რაიონმა (პარტკომის პირველი მდივანი ხ. პეტროსიანი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე უ. კაზარიანი, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი მ. ალელიშვილი) წელს 57.869 ტონა უხეში საკვები უნდა დაამზადოს. 12 აგვისტოსათვის დამზადებული იყო მხოლოდ 9.759 ტონა. უარესი მდგომარეობაა წალკის რაიონში (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ა. მაკაროვი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ლ. მელტონიანი, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ა. მაცუკატოვი). აქ 44.772 ტონის ნაცვლად დამზადებულია 1.259 ტონა. მარნეულელებმა (პარტრაიკომის პირველი მდივანი ზ. ნემსაძე, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ყულიევი, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გ. ხეცურიანი) მოსავლის აღებისა და ბალახის თიბვის გეგმები გადამეტებით შეასრულეს, მაგრამ უხეში საკვების დაგროვებისათვის ჯეროვნად არ იზრუნეს. 25.048 ტონა უხეში საკვები უნდა დაამზადონ, 12 აგვისტოსათვის დაგროვებული იყო 13.665 ტონა. პურეულის ნამჯა დროზე თუ არ შეგროვდა და არ დაიზვინა, ყუათიანობას დაკარგავს.

უხეში საკვების დაგროვება კარგად ვერ არის დაყენებული დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში. ზემდგომი ორგანოების დახმარებით მათ უფლება მიეცათ უხეში საკვები (ნამჯა) დაამზადონ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში. ამ რაიონების პარტიული და სამეურნეო ორგანოები საქმეს მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ, მეტი ორგანიზებულობა უნდა გამოიჩინონ, რომ პირუტყვისათვის საკმაო რაოდენობით დაამზადონ უხეში საკვები აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში. უქმად არ უნდა დაიკარგოს ნამჯა, გულდასმით უნდა ავიღოთ და დავზვინოთ, აღრიცხვაზე ავიყვანოთ მარცვლეული მეურნეობის თითოეული ტონა ნარჩენი.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს პირუტყვის ძვირფასი საკვების — სილოსის დროულად დამზადება. ბევრ რაიონში დაიწყო სილოსის ჩადება. სიმინდისა და სხვა მწვანე მასის დასილოსებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. სასილოსე მწვანე მასა დროულად უნდა ავიღოთ და წესების დაცვით დავასილოსოთ, ეს იქნება მაღალხარისხოვანი წვნიანი საკვების მიღების უტყუარი გარანტია.

მთელი ფურაჟი უნდა მივზიდოთ ფერმებში, მტკიცე კონტროლი უნდა დავაწესოთ პირუტყვის საკვების ხარჯზე. ამ ბოლო დროს საკვების დაგროვებაზე რაიონებსა და საზოგადოებრივ მეურნეობებში ბევრ დადგენილებას იღებენ გვახსოვდეს, — ცარიელი დადგენილებითა და ქაღალდებით პირუტყვს ვერ გამოვკვებავთ.

სოფლის მშრომელებო, მეცხოველეებო! გავაძლიეროთ პირუტყვის საკვების დამზადების ტემპი, დროზე და საკმაო რაოდენობით მოვიმარაგოთ უხეში და წვნიანი საკვები, საქმიანად გამოვიყენოთ ეს დღეები, სანიმუშოდ მოვამზადოთ პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრებისათვის, რომ უხვად ვაწარმოოთ მეცხოველეობის პროდუქტები!

## სკკპ დელეგაცია ბუქარესტიდან მოსკოვში დაბრუნდა

13 აგვისტოს ბუქარესტიდან მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. თ. კატუშევის მეთაურობით. დელეგაცია მონაწილეობდა რუმინეთის კომუნისტური პარტიის X ყრილობის მუშაობაში. (საკდესი).

# ლენინის დაბადების 100

## დარეჯან ტაკიძის რგოლის გამარჯვება

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ ნატანების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა, სოციალისტური შრომის გმირმა დარეჯან ტაკიძემ სანაქებოდ შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება. მოკრიფა და წარმოებას ჩააბარა 4.500 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 3.100 კილოგრამისა. საგულისხმოა, რომ მოკრეფილი ფოთლის 99,5 პროცენტი პირველი ხარისხისაა. გამრჯე მეჩაიე სეზონის ბოლომდე კიდევ მოკრეფს სულ ცოტა 1.500 კილოგრამ „მწვანე ოქროს“.

სახელოვანი მეჩაიის დ. ტაკიძის მაგალითს მიბაძეს მისი რგოლის წევრებმა, რომლებმაც 27.800 კილოგრამი ნედლეული მოკრიფეს, რაც წლიური გეგმის 100,1 პროცენტს შეადგენს.

წლიური გეგმები წარმატებით შეასრულეს აგრეთვე დარეჯანის თანამოსაქმეებმა თ. ტაკიძემ, ნ. ნიკოლაიშვილმა ნ. მიმინოშვილმა და სხვებმა.

რგოლი, რომელსაც დარეჯანი მეთაურობს, ფოთლის კრეფის სეზონის ბოლომდე გეგმის გადამეტებით 3.000 კილოგრამ ჩაის ნედლეულს ჩააბარებს წარმოებას.

• • •



სურათზე: სოციალისტური შრომის გმირი დარეჯან ტაკიძე.

## კომკავშირელთა ძალებით

ყვარელი. (საკ. კორ.). ორასოთხმოცამდე კომკავშირელს ითვლის გავაზის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია. მაგრამ საქმე მარტო რიცხვი როდია. მთავარი ის არის, რომ ფერმებში ძირითადად ახალგაზრდები შრომობენ. საკოლმეურნეო პირუტყვის ფერმებში მომუშავე მეცხოველეთა საშუალო ასაკი 28-29 წელია.

სასიხარულოა, რომ წვნიანი საკვების ტრანშეებში დასილოსებაც ახალგაზრდებმა იკისრეს. ახლა ისინი საპატიო საქმეს არავის უთმობენ. ახალგაზრდა კომბაინერი დ. ცუცკოშვილი, მძღოლები ო. რაჭებაშვილი, ი. ვირადაშვილი, ა. ჭოლოშვილი, ო. ალადაშვილი და სხვები უქმად არ კარგავენ არც ერთ დღესა თუ საშუალებას, ასილოსებენ შალაფას, საკვებად ნათეს სიმინდის მასას, და შედეგებიც საუკეთესოა. ტრანშეებში ჩადებულია 600 ტონაზე მეტი წვნიანი საკვები. კომკავშირელი საკვებმომპოვებლები პირუტყვის სადგომებთან 2.100 ტონის მაგიერ 2.600 ტონა წვნიან საკვებს დაამზადებენ.

## ჯილდოები გამარჯვებულებს

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს რესპუბლიკური რადიოცენტრის კოლექტივმა მეორე კვარტალის მუშაობის შედეგებით გაიმარჯვა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მას მიენიჭა სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროსა და კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, აგრეთვე პირველი ფულადი პრემია.

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულს — კასპის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის კოლექტივს მიენიჭა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროსა და საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

მეორე ფულადი პრემია მიიღო გეგეჭკორის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის კოლექტივმა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და საქართველოს ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს კოლეგიამ და საქართველოს ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილეს „საქმთავარენერგოს“ სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების შეჯიბრების მეორე კვარტალის შედეგები.

რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს — ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურისა და ახალციხის ელექტროქსელის კოლექტივებს მიენიჭათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოსა და საქართველოს ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემიები.

მეორე ფულადი პრემიები მიიღეს ხრამის ჰიდროელექტროსადგურის № 5 კასკადისა და თბილისის თბოელექტროცენტრალის კოლექტივებმა, მესამე ფულადი პრემიები გადაეცათ სოხუმის ჰიდროელექტროსადგურის № 6 კასკადისა და სოხუმის ელექტროქსელის კოლექტივებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხილისა და ბოსტნეულის ტამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიისა და საქართველოს კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს — ლაგოდეხის კონსერვის ქარხნისა და ქარელის № 1 ხილკენკროვანთა ღვინის ქარხნის კოლექტივებს მიენიჭათ მეორე ფულადი პრემიები. (საქდესი).

## გეგმის გადამეტებით 5.100 წყვილი

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). ბოლო წლებში ფეხსაცმლის სამოდელო ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი გ. ოდიშვილი) თვალსაჩინოდ გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. აქ შეკერილი ფეხსაცმელი დღეს არ ჩამორჩება საზღვარგარეთულს. საწარმომ შვიდი თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. აქ 1 მილიონ 599 ათასი მანეთის ნაცვლად რეალიზებულია 1 მილიონ 722 ათასი მანეთის პროდუქცია, მეფეხსაცმელეებმა 123 ათასი მანეთით გადააჭარბეს დავალებას. პირველი ხარისხის პროდუქციის გეგმა, რაც 82,6 პროცენტს ითვალისწინებდა, 5,2 პროცენტით იქნა გადაჭარბებული. ფაბრიკამ განვლილ პერიოდში 149 ათას 300 წყვილის ნაცვლად მომხმარებელს 154 ათას 400 წყვილი ფეხსაცმელი მიაწოდა.

ვ. ი. ლენინის დაბადების აღსანიშნავ შრომით ვახტზე თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ ტ. გოგიაშვილი, ვ. ცოდოლიშვილი, ე. სობჭო და მ. ოგანეზოვი.

საწარმოს კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს ბელადის დაბადების დღეს — 22 აპრილს დაზოგილი ნედლეულით იმუშაოს.

## უხვი ალოება დამთავრდა

თელავი. (საკ. კორ.). 4.795 ჰექტარზე ლივლივებდა თელავის რაიონის პურეულის ყანები. ჭირვეული ამინდების მიუხედავად „უფხო-1“-მა ამჯერადაც გაამართლა იმედი. კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან მიღებული სასიხარულო ცნობებით შეივსო რაიონის სტატისტიკური ცხრილები. ჯულაანის კოლმეურნეობის მემინდვრეებმა 16-ის ნაცვლად ჰექტარზე 23,4 ცენტნერი მარცვალი მიიღეს, რუისპირელებმა 12-ის ნაცვლად 20,6 ცენტნერი, ვანთელებმა — 19,3, სანიორელებმა — 19,2, ბუშეტელებმა 19 ცენტნერი. რაიონში გეგმით გათვალისწინებული 13-ის ნაცვლად ჰექტარზე საშუალო მოსავალმა 15,1 ცენტნერი შეადგინა.

## „კოლხიდმშენის“ წარმატება

ტრესტ „კოლხიდმშენის“ კოლექტივი, რომელიც დგას ვ. ი. ლენინის საიუბილეო შრომით ვახტზე, სულ უფრო ზრდის სამუშაოთა მასშტაბს. განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლები აქვთ დაშრობის, მორწყვისა და ნაპირგამაგრების სამუშაოთა შესრულებაში. წლის პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით შესრულებულია 102 ათასი მანეთის სამუშაო.

წელს „კოლხიდმშენი“ გალის, ხობისა და ლანჩხუთის რაიონებს ჩაის, ციტრუსებისა და სხვა კულტურების გასაშენებლად ჩააბარებს 7.480 ჰექტარ დაშრობილ ფართობს.

წარმატებით განხორციელდა ხელოვნური მორწყვა მახარაძის რაიონის სოფელ ნასაკირალისა და ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანის ჩაის პლანტაციებში. მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა ფოთშიც. გამაგრებულ იქნა ზღვისპირის ზოლი მდინარე რიონის სამხრეთი ტოტის შესართავთან, ტორფის წარმოების გასადიდებლად დაშრობილია ახალი საკარიერო ფართობი, გაყვანილია გზები და სხვ.

ტ. კომახიძე.

## ეძღვნება დიდ ლენინს

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ლენინური კითხვები, რომლებსაც აწყობენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაცია, დიდ ინტერესს იწვევენ.

14 აგვისტოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ თბილისის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო აქტივი და თბილისის გარნიზონის მეომართა წარმომადგენლები.

ლექცია „მეურნეობის სოციალისტური გაძღოლის პრინციპების შემუშავება ვ. ი. ლენინის მიერ და მათი განხორციელება საქართველოში“ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გ. ი. ჩოგოვაძემ.

ამხ. ჩოგოვაძის ლექცია დიდი ყურადღებით მოისმინეს. (საქდესი).

## კინოს დღე

ორმოცდაათი წლის წინათ, 1919 წლის 27 აგვისტოს ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა ისტორიულ დეკრეტს კინომრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ. ამ დღიდან ქვეყნის ყველა კინოთეატრი და კინოფაბრიკა საყოველთაო-სახალხო საკუთრება გახდა. აქედან იწყება საბჭოთა კინოხელოვნების ისტორია. მთელ ჩვენს ქვეყანაში 20 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე ფართოდ აღინიშნება კინოს დაბადების დღე. მოსკოვში, ლენინგრადში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში გაიმართება საბჭოთა კინოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სახალხო ფესტივალები. (საკდესი).




## მიფრინავს „კოსმოსი-292“

1969 წლის 14 აგვისტოს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-292“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს. (საკდესი).

## რეკორდები ცაში

ექვს აგვისტოს მოსკოვის ოლქის ერთ-ერთი აეროდრომის ასაფრენ ბილიკზე დადგა „ვ-12“ ვერტმფრინავი. ექვსი კაცისაგან შემდგარმა ეკიპაჟმა ადგილები დაიკავა. ხომალდის მეთაურმა პირველი კლასის გამომცდელმა მფრინავმა ვ. პ. კოლოშენკომ, მეორე პილოტმა პირველი კლასის გამომცდელმა მფრინავმა ლ. ვ. ვლასოვმა ხელმძღვანელობას უპატაკეს, რომ მზად არიან დავალების შესასრულებლად. ეს დავალება კი უჩვეულო იყო. ვერტმფრინავმა ცაში აიტანა 40.204,5 კილოგრამი ტვირთი! მალე ხელსაწყოებმა აჩვენეს სიმაღლე — 2.250 მეტრი. დავალება შესრულებულია. ამდენი ტვირთი მსოფლიოში არც ერთ თვითმფრინავს არ აუტანია ცაში.

მასალები ფრენის შესახებ გაიგზავნა ავიაციის საერთაშორისო ფედერაციაში რეგისტრაციისათვის.

„ვ-12“ ვერტმფრინავი შექმნეს კოლექტივში, რომელსაც მ. ლ. მილი ხელმძღვანელობს. მანქანაზე დგას ძრავები, რომელთა სიმძლავრეა 6.500 ცხენის ძალა თითეულისა. ძრავები შექმნილია პ. ა. სოლოვიოვის ხელმძღვანელობით. (საკდესის კორ.).

## ტაჯიკეთის ზღვისპირეთი

ყაირაყუმი. (ტაჯიკეთის სსრ.). მდინარე სირდარიაზე გაშენებული ყაირაყუმის წყალსაცავის მარჯვენა ნაპირი გამოყოფილია საკურორტო ზონის მშენებლობისათვის.

კლიმატური პირობებით წყალსაცავის ზონა არ ჩამოუვარდება ცნობილ ყირიმის სანაპიროს.

რესპუბლიკის მთავრობამ დაამტკიცა ახალი საკურორტო ზონის განვითარების გენერალური გეგმა.

# ვ. ი. ლენინი და უკრაინა

კიევი, 12 აგვისტო. (საკდესის კორ.). უკრაინის მშრომელები უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით ემზადებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის. ბელადის სახელთან დაკავშირებულია ისტორია უკრაინის კომუნისტების, ყველა მშრომელთა ბრძოლისა სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის, ახალი ცხოვრების აშენებისათვის. ლენინის 350-მდე ნაშრომსა და დოკუმენტში გაშუქებულია უკრაინაში რევოლუციური მოძრაობის, სოციალიზმის მშენებლობის საკითხები.

დღეს ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის კიევის ფილიალის შენობაში გაიხსნა მოძრავი გამოფენა „ვ. ი. ლენინი და უკრაინა“, რომელიც ასახავს რესპუბლიკის მშრომელთა ურღვევ კავშირს ილიჩთან, მოგვითხრობს, თუ როგორ განახორციელა უკრაინელმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ლენინის ანდერძი. გამოფენა მოამზადეს მუზეუმის ფილიალის მუშაკებმა უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალისა და უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა. გამოფენის ექსპოზიციაშია 700-მდე დოკუმენტი.

### გამოფენა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის კიევის ფილიალში

გამოფენაზე წარმოდგენილია ვ. ი. ლენინის პირველი ნაშრომები, რომლებშიც ავტორი ყოველმხრივ განიხილავს მეფის რუსეთის, კერძოდ, მისი სამხრეთი გუბერნიების სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობას. ეს შრომებია „ახალი სამეურნეო მოძრაობანი გლეხთა ცხოვრებაში“, „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ და სხვები. ლენინის შრომები ილუსტრირებულია სურათებითა და ფოტოებით.

სტენდებზეა გაზეთ „ისკრის“ ფოტოპირები, რომლის ფურცლებზე დაიბეჭდა 500-მდე მასალა უკრაინის შესახებ, რესპუბლიკის ტერიტორიაზე „ისკრის“ გავრცელების რუკა-სქემა, ბელადის ნაშრომები, რომლებშიც მოცემულია ანალიზი რევოლუციური გამოსვლებისა რუსეთის სამხრეთში 1902 წლის ზაფხულში. დამთვალიერებელთა ყურადღებას იქცევს ფოტოსურათები კიევის უნივერსიტეტის იმ სტუდენტთა ჯგუფისა, რომლებიც ჯარისკაცებად გაამწესეს, შჩერბინოვსკის მაღაროში მომუშავე ისკრელებისა, ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისადმი ილიჩის წერილების პირები, დოკუმენტები კიევში ულიანოვების ოჯახის ყოფნის შესახებ.

სხვადასხვა ექსპონატი მოგვითხრობს, თუ რა უდიდესი როლი შეასრულა ლენინმა უკრაინაში დიდი ოქტომბრის გამარჯვების საქმეში.

დოკუმენტები და ფოტოსურათები ასახავენ ვლადიმერ ილიას-ძის დიდ ზრუნვას უკრაინის კომუნისტური პარტიისა და უკრაინის სსრ შექმნისა და განმტკიცებისათვის, ფასდაუდებელ დახმარებას, რომელსაც იგი რესპუბლიკის მშრომელებს უწევდა სამოქალაქო ომის წლებში საშინაო და საგარეო კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გამოფენის ბოლო ნაწილები ცხადყოფენ, თუ რა წარმატებით ახორციელებენ რესპუბლიკის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, მშრომელი ინტელიგენცია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი ბელადის ანდერძს, აღწევენ სულ ახალ-ახალ წარმატებებს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, თუ როგორ ემზადებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

## ნიუ-იორკი და ჩიკაგო მიესალმებიან კოსმონავტებს

ნიუ-იორკი, 14 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ჰიუსტონიდან (ტეხასის შტატი) ნიუ-იორკში ჩამოვიდნენ კოსმოსური ხომალდის „აპოლონ-11“-ის ეკიპაჟის წევრები — ნეილ არმსტრონგი, ედვინ ოლდრინი და მაიკლ კოლინზი. ორ მილიონამდე ნიუ-იორკელი მხურვალედ მიესალმა მამაც კოსმონავტებს. მუნიციპალიტეტის შენობასთან გამართულ საზეიმო ცერემონიაზე ნიუ-იორკის მერმა ჯონ ლინდსეიმ კოსმონავტებს გადასცა „საპატიო მედლები“.

შემდეგ კოსმონავტები წავიდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, სადაც მათ გულთბილად შეხვდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ ტანი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების წარმომადგენლობათა მეთაურები და თანამშრომლები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვიზიტის დამთავრების შემდეგ ნ. არმსტრონგი, ე. ოლდრინი და მ. კოლინზი სპეციალური თვითმფრინავით ჩიკაგოში გაფრინდნენ.

ნიუ-იორკი, 14 აგვისტო. (საკდესი). ჩიკაგოს მცხოვრებნი მხურვალედ მიესალმნენ ამერიკელ კოსმონავტებს ნეილ არმსტრონგს, ედვინ ოლდრინსა და მაიკლ კოლინზს, რომლებიც გუშინ აქ ნიუ-იორკიდან ჩამოვიდნენ. ამერიკის შეერთებული შტატების სიდიდით ამ მეორე ქალაქში „აპოლონ-11“-ის გმირულ ეკიპაჟს აღფრთოვანებით ხვდებოდნენ საზეიმო პროცესიის მთელ რვაკილომეტრიან გზაზე. ოფიციალურ ცერემონიაზე კოსმონავტებს გადასცეს ჩიკაგოს საპატიო მოქალაქეთა მედლები.

ჩიკაგოდან კოსმონავტები პრეზიდენტის თვითმფრინავით ლოს-ანჯელესში გაემგზავრნენ. ბანკეტზე, სადაც მათ მიესალმა პრეზიდენტი ნიქსონი, ნ. არმსტრონგს, ე. ოლდრინსა და მ. კოლინზს გადასცეს ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სამოქალაქო ჯილდო „თავისუფლების მედალი“.

## მინდვრის მშრომელთა წარმატება

პრაღა, 4 აგვისტო. (საკდესი). სლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა და სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობამ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობას გაუგზავნეს წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ სლოვაკიის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გუშინ შეასრულეს 1969 წლის მარცვლეულის დამზადების გეგმა.

## გაათავისუფლეს ტ. ოტეგბეი

ლაგოსი, 14 აგვისტო (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ პატიმრობიდან გაათავისუფლეს ნიგერიის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე ტ. ოტეგბეი.

ტ. ოტეგბეი, ნიგერიელ მარქსისტ-ლენინელთა დელეგაციას მეთაურობდა კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირზე. ივნისის დამლევს, ლაგოსში დაბრუნებისას იგი აეროპორტში დააპატიმრეს.

## მსოფლიო დღეს

პარტიული ცხოვრება

თამაზ მიქელაძეს ჩვეულებრივ საქსოვი წარმოების ვრცელ კორპუსებში შევხვდრივართ დაზგებთან საქმეში გართულს ან მუშებთან მოსაუბრეს. მაგრამ ამას წინათ იგი ადამიანთა ვიწრო წრეში ვნახეთ. ჩვენს შორის გაიბა საინტერესო და სასარგებლო საუბარი. თამაზი ამჯერად გატაცებით გვიყვებოდა არა სამეურნეო საქმეებზე, რაც უელამდე აქვს თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის წამყვანი წარმოების ხელმძღვანელს, არამედ მასებთან პოლიტიკურ მუშაობაზე.

— ამ ხუთი წლის წინათ, — იგონებს მიქელაძე, — სხვა კომუნისტებთან ერთად ფაბრიკის პარტკომში მიმიწვიეს. პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე რ. გობრონიძე გვესაუბრა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების საჭიროებასა და მის ახალ ფორმებზე. — არის მოსაზრება რეკომენდაცია გაგიწიოთ პოლიტინფორმატორებად, — მოგვმართა მან, ზოგადად განგვიმარტა პოლიტინფორმატორის მოვალეობანი, დასასრულ კი შეკითხვებზე გაგვცა პასუხი.

თ. მიქელაძისათვის მანამდეც ჩვეული საქმე იყო ადამიანებთან შეხვედრა და მათ წინაშე გამოს- [illegible]

ფიციურად მიეწოდებინა ინფორმაცია მშრომელთათვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების შესახებ ისე, რომ არ გაეწია აგიტატორისა და ლექტორის მაგიერობა.

ხუთი წლის მანძილზე, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა. და თამაზი, ისევე როგორც მისი ბევრი ამხანაგი, თავის ცოდნას, ენერგიას, გამოცდილებას ახმარს ახალი პარტიული დავალების შესრულებას.

ეს გამოცდილება კი მან წლების მანძილზე შეიძინა.

პოლიტინფორმატორის მუშაობა მოითხოვს მსოფლიოში მომხდარი ყველა მოვლენის კურსში ყოფნას, მაგრამ ოციოდე წუთში, რაც პოლიტინფორმატორს აქვს გამოყოფილი, შეუძლებელია მოიცვა რამდენიმე პრობლემა. ამიტომ მიქელაძე ირჩევს ერთ-ერთ რომელიმე მათგანს, განსაზღვრავს გამოსვლის შინაარსსა და მოცულობას, კრებს სათანადო მასალებს, ლიტერატურას, ათვალიერებს ცნობარებს.

თამაზმა იცის, რომ უბრალო ინფორმაციით მსმენელებს ვერ დააინტერესებს, რადგან ბევრი მოვლენის შესახებ მუშებს თვითონ წაუკითხავთ გაზეთებში, მოუსმენიათ რადიოთი, ტელევიზი- [illegible]

[illegible] დასაბუთება შეაქვს, განაზოგა-

# პოლიტინფორმატორები

## იდეოლოგიური მუშაობის პრაქტიკა

დებს მას, ცდილობს რაიმე საინტერესოთი გაამდიდროს ყოველი საუბარი.

ერთ-ერთი თავისი უკანასკნელი პოლიტინფორმაცია თ. მიქელაძემ მიუძღვნა ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას თავისი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ამასთან ნაცნობი ოფიციალური მასალები გაამდიდრა საინტერესო წიგნიდან „ამერიკის აგრესიული ომი ვიეტნამში".

„ახლო აღმოსავლეთის კრიზისი", „ამერიკელ იმპერიალისტთა და დასავლეთგერმანელ რევანშისტთა ომის გამჩაღებლური გეგმები", „ჩინეთის ამბები", „კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის შედეგები", „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი", „ადამიანის გაფრენა მთვარეზე" — აი პო- [illegible]

[illegible] რომ პოლიტიკა და ეკონომიკა ერთმანეთისაგან განუყოფელია.

ორ ათეულ ადამიანს, რომლებიც კვირაში ერთხელ იკრიბებიან მიქელაძის საუბარზე სასადილო შესვენებისას ან სამუშაოს დაწყებამდე, არცთუ იშვიათად აღეძვრის კითხვები. ერუდიცია და ცხოვრების ცოდნა შველის პოლიტინფორმატორს ამომწურავი პასუხი გასცეს ყველა შეკითხვაზე, რომლებითაც მას აუდიტორია მიმართავს.

— თ. მიქელაძის საუბრებზე დასწრების დროს, — ამბობს პოლიტინფორმატორთა ჯგუფის ხელმძღვანელი ნ. დონდუა, — ვფიქრობ იმაზე, თუ რა მნიშვნელოვანია, როცა პოლიტინფორმატორს შეუძლია საინტერესოდ, მიმზიდველად აგოს საუბარი. სიტყვის დაუფლების ხელოვნებას სწავლა უნდა!

პოლიტინფორმაციები დროულად, სისტემატურად, საინტერესოდ ეწყობა აგრეთვე ფაბრიკის [illegible] უმაღლესი განათლება, სათანადო პოლიტიკური მომზადება და ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ. მათ მასებში შეაქვთ პარტიის სიტყვა, ზრდიან ადამიანებს კომუნისტური სულისკვეთებით, რითაც ააქტიურებენ მშრომელთა სწრაფვას საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის. და ამიტომაც არის, რომ თბილისელი აბრეშუმქსოველები ხუთწლედის მოწინავე ხაზზე დგანან. გასული წლის შედეგებით მათ ერთ-ერთი საპატიო ადგილი დაიკავეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთვის აღსანიშნავად გაშლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და უფრო ენერგიულად შრომობენ ხუთწლედის მეოთხე წელს. ფაბრიკის ორიათასიანი კოლექტივი ღირსეულად ატარებს კომუნისტური შრომის საპატიო სახელს.

ფაბრიკის პარტკომი სისტემატურ ინფორმაციაში ხედავს იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებას, მისი ქმედითობის გაძლიერებისა და, მაშასადამე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შემოქმედებით შრომაში ადამიანთა აქტივობის განვითარების მნიშვნელოვან საშუალებას. სწორად გვეუბნება პარტიული კომიტეტის მდივანი გ. ბაკურაძე: — ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოვაწყოთ ადამიანთა ინფორმირება ისე, რომ მათ, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველაფერი იცოდნენ, ყველაფერზე შეეძლოთ მსჯელობა და ყველაფერს შეგნებულად აკეთებდნენ.

ამიტომ აქ მათთვის სისტემატურად ეწყობა სემინარები, ინსტრუქტაჟი, ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები, ლექციები, თეორიული კონფერენციები. პარტიული კომიტეტის მდივანი, მისი მოადგილე, პოლიტინფორმატორთა ჯგუფების ხელმძღვანელები ესწრებიან პოლიტინფორმატორთა საუბრებს. პოლიტინფორმატორები ხვდებიან უხუცეს ბოლშევიკებს და ვეტერან მუშებს, კომკავშირის ძველი გვარდიის წარმომადგენლებს, ხელმძღვანელ მუშაკებს, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეებს.

პოლიტინფორმატორთა ჯგუფები გრძნობენ პარტიის რაიკომის პოლიტგანათლების კაბინეტის დახმარებას. აქ მორიგეობენ კონსულტანტები. ისინი ეხმარებიან პოლიტინფორმატორებს გაერკვნენ მასალაში, შეადგინონ საუბრის გეგმა, შეარჩიონ აუცილებელი ლიტერატურა. მაგრამ პოლიტინფორმატორები კაბინეტში მიდიან არა მარტო რჩევისათვის, არამედ ლექციის ან მოხსენების მოსასმენადაც.

ფაბრიკაში სისტემატურად განიხილავენ კომუნისტი სამეურნეო ხელმძღვანელების ინფორმაციას იმაზე, თუ როგორ აწყობენ სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებას, როგორ ნერგავენ მოწინავე საწარმოო გამოცდილებას. მშრომელთა შორის ცოცხალ გამოხმაურებას პოულობს ხელმძღვანელ მუშაკთა საჯარო გამოსვლები, რადგან მათ გაცილებით უკეთ შეუძლიათ ახსნან ესა თუ ის მოვლენა, ხარვეზები, მათი გამომწვევი მიზეზები, მოუთხრონ მასებს ამოცანებსა და პერსპექტივებზე.

საწარმოში ყურადღებას იქცევს კარგად დაყენებული თვალსაჩინო ინფორმაცია. მოწინავე ადამიანთა სახეები საპატიო დაფაზეა, ბრძოლების ქარტეხილში გამოვლილი ჯარისკაცებისათვის კი საბრძოლო დიდების კუთხეში მიუჩენიათ ბინა. წარმოების დღევანდელ და ხვალინდელ დღეს ეცნობით სოციალისტური შეჯიბრების მაჩვენებელთა დაფაზე. ვის არ დააინტერესებს გემოვნებით შესრულებული ფოტოვიტრინა, იუმორისტური გაზეთი „ნიანგი", ანდა კარგად გაფორმებული, შინაარსიანი კედლის გაზეთები, რომლებიც ყველა საამქროში გამოდის.

მართალია, თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში პოლიტიკური აგიტაცია ფართო და სისტემატური ინფორმაციის ბაზაზე წარმოებს, მაგრამ ახალ პირობებში აქ როდი შესუსტებულა აგიტკოლექტივების როლი. პირიქით, პარტკომი ცდილობს განამტკიცოს და სრულყოს არსებული აგიტკოლექტივები და გონივრულად წარმართოს აგიტატორთა მუშაობა.

— რით დავეხმაროთ იმათ, ვინც არ ესწრება პოლიტინფორმაციებს, როგორ [illegible] ცხოვრებ[illegible] ადგილის მიხედვით მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფორმები, ისე, რომ მეტი ადამიანი დავაინტერესოთ? — აი პარ[illegible] ხაზრუ[illegible] ნავი.

პარტიული ორგანიზაცია [illegible] ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის. ლენინიანას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აგრეთვე პოლიტინფორმატორთა საქმიანობაში. ამასთან მთავარი მოთხოვნაა ამ ღონისძიებათა მაღალი იდეური დონე. თუ მსჯელობა ეხება დიდი ხნის მოვლენებს, მათ უკავშირებენ დღევანდელ დღეს. როგორ სრულდება ლენინური ანდერძი? როგორ ადასტურებს ცხოვრება ვ. ი. ლენინის თეორიული დებულებებისა და დასკვნების გენიალობას? ამ და სხვა კითხვებზე პასუხს იძლევიან ლექტორებიც და პროპაგანდისტებიც, პოლიტინფორმატორებიც და აგიტატორებიც. ამ მხრივ დამახასიათებელია ლენინური კითხვა, რომელიც ბელადის დღეებს ეძღვნება.

რამდენიმე ნაკლი. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ყველაზე მეტ წარმატებას აღწევენ იქ, სადაც ინფორმაციას აწყობენ რამდენიმე ძირითადი მიმართულებით, მაგრამ ეს არ ითქმის ფაბრიკის ზოგიერთ პოლიტინფორმატორზე, რომლებიც არ ცდილობენ დასპეციალებას ერთი რომელიმე მიმართულებით. არის პოლიტინფორმაციების არა სისტემატურად, დაბალ დონეზე მოწყობის ცალკეული შემთხვევებიც.

იმედია, ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია კიდევ უფრო გააუმჯობესებს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობისადმი ხელმძღვანელობას, აამაღლებს პოლიტიკური აგიტაციის იდეურ დონეს, მისცემს მას მეტ გაქანებას, ოპერატიულობასა და ქმედითობას.

გ. ზუკაკიშვილი.



თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანაში მწყობრში ჩადგა გალის მჟავის ახალი უბანი. იგი უახლესი აპარატურით არის აღჭურვილი. ყველა ტექნიკური პროცესი აქ მექანიზებული და ავტომატიზებულია, აქამდე კი ყველა სამუშაო ხელით სრულდებოდა. სურათზე: (მარცხნიდან) საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი ალექსანდრე შუბლაძე, ექსპერიმენტული ლაბორატორიის უფროსი ნანული ცერცვაძე და ცვლის უფროსი ზურაბ ყანჩაველი გალის მჟავის ახალ უბანზე.

ფოტო შ. მორბუნოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

# საქართველოს სსრ პროკურატურაში

1969 წლის პირველ ნახევარში დამნაშავეობისა და კანონიერების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოების მუშაობის შედეგებს მიეძღვნა რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელიც ამ დღეებში გაიმართა.

მოხსენებით გააკეთა საქართველოს სსრ პროკურორმა პ. ბერძენიშვილმა.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ განახორციელეს სოციალისტური კანონიერების ლენინური პრინციპების განმტკიცებისა და შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი. ამას ბევრად შეუწყო ხელი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 23 ივლისის დადგენილებამ „დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ".

საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოების მუშაობის მთავარი შინაარსი ამ დადგენილების განუხრელი შესრულებაა. დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა უფრო ორგანიზებული და შეტევითი გახდა. გაუმჯობესდა კოორდინაცია პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სასამართლოს ორგანოების, სახელმწიფო უშიშროებისა და სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობაში. დიდი ყურადღება ეთმობა საქალაქო და რაიონული პროკურატურებისათვის პრაქტიკულ დახმარებას. საზოგადოებრიობა უფრო ფართოდ არის ჩაბმული მართლწესრიგის დარღვევის აღკვეთისათვის მუშაობაში. ამის შედეგად რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად შემცირდა დანაშაულთა რიცხვი. დამნაშავეობის შემცირების პროცენტი დიდი არ არის, რაც თითოეული ჩვენგანის კანონიერ შეშფოთებას უნდა იწვევდეს.

ქალაქისა და რაიონის პროკურორებმა სისტემატურად უნდა შეისწავლონ საქმეების მდგომარეობა, გააანალიზონ დამნაშავეობის დინამიკა და პარტიულ, საბჭოთა და ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად განახორციელონ უფრო ქმედითი ღონისძიებანი დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ მიმართულებით დადებითი მუშაობა გასწია ქალაქ რუსთავის პროკურატურამ. მან განზოგადებული ინფორმაცია წარუდგინა პარტიის საქალაქო კომიტეტს. პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა, დასახა კონკრეტული ღონისძიებანი, ამ საქმისათვის მობილიზაცია უყო საქალაქო აქტივს. ქალაქის პარტიულ აქტივზე მოისმინეს პროკურორის მოხსენება. მიზანდასახულმა მოქმედებამ დადებითი შედეგები მოიტანა.

მაგრამ ჯერ კიდევ ყველგან როდი უთმობენ ჯეროვან ყურადღებას დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას. ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროკურატურამ განახორციელა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი, მაგრამ აქ ჯერ კიდევ საკმარისად არ წარმოებს პროფილაქტიკური, გამაფრთხილებელი მუშაობა. მეტად ცუდად იბრძოდა დამნაშავეობის წინააღმდეგ წალენჯიხის რაიონის პროკურატურა. შვიდი საქმე, რომლებიც მან გამოიძია, უკან დაბრუნდა გამოძიების დასამთავრებლად. რაიონის ყოფილი პროკურორი ი. ქარდავა ცდილობდა მუშაობაში ცუდი მაჩვენებლები დაემალა თვალის ამხვევი ცნობებით. საქმეთა ნაწილი ნაჩვენები არ იყო სტატისტიკაში, აღნიშნული არ იყო საქმეები, რომელთა გამოძიების ვადები ირღვეოდა. ასეთი მოქმედებისათვის, მუშაობის ჩავარდნისათვის ქარდავა გაათავისუფლეს რაიონის პროკურორის თანამდებობიდან.

რესპუბლიკაში დამნაშავეობის კვლავ ერთ-ერთი გავრცელებული სახეა გაფლანგვა და დატაცება. საანგარიშო პერიოდში ისინი მნიშვნელოვნად შემცირდა, შემცირდა იმ ზარალის თანხა, რომელიც სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მიაყენეს. მიუხედავად ამისა, მდგომარეობა ამ მიმართულებით ძალზე შემაშფოთებელია.

სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, რომ ყველაზე სერიოზული ნაკლოვანებანი სოციალისტური საკუთრების დაცვაში არის სახელმწიფო ვაჭრობის, სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემასა და სამრეწველო საწარმოებში. ბევრ საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში დიდხანს არ ამჟღავნებენ სოციალისტური საკუთრების დატაცების ფაქტებს. დამნაშავენი მიმართავენ სახალხო დოვლათის დატაცების ათასნაირ ხერხს, ქმნიან დამტაცებელთა ჯგუფებს და ზოგჯერ ამ ჯგუფებში ითრევენ საწარმოთა და დაწესებულებათა ცალკეულ ხელმძღვანელებს, რევიზორებს, ბუღალტრებსა და სხვა მუშაკებს, რომლებსაც ევალებათ მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა საქმიანობის კონტროლი. დამტაცებელთა ორგანიზებული ჯგუფების მონაწილენი ძირითად ყურადღებას უთმობენ იმას, რომ მატერიალურ ღირებულებათა დატაცება არ აისახოს საწარმოთა და დაწესებულებათა ბალანსში. ამ პირობებში პროკურატურის ორგანოებმა და სხვა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა შეურიგებელი ბრძოლა უნდა აწარმოონ სახალხო დოვლათის დამტაცებელთა გამოსაამჟღავნებლად, ყოველი ღონე იხმარონ, რათა არ დაუშვან სოციალისტური საკუთრების დატაცების არც ერთი შემთხვევა, ხოლო თუ ასეთი მოხდა, უზრუნველყონ დატაცებული ქონების ძიება და სახელმწიფოსათვის დაბრუნება.

მიუხედავად იმისა, რომ მკვეთრად შემცირდა დამნაშავეობა არასრულწლოვანთა შორის, ბავშვთა უმეთვალყურეობისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა ჯერ კიდევ სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდად არის საქმე თბილისში, გორში, ფოთში, მცხეთის, თერჯოლისა და ახალციხის რაიონებში. საქართველოს სსრ პროკურატურამ შეისწავლა არასრულწლოვანთა საქმეები და გააანალიზა ბავშვთა დამნაშავეობის მდგომარეობა მთელ რესპუბლიკაში. გაწეული მუშაობის შედეგები გააცნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივ კომისიას. მიმდინარე წლის 26 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო სპეციალური დადგენილება არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის შესახებ. ხორციელდება ყველა ღონისძიება, რათა მაქსიმალურად შევამციროთ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის პროცენტი. ამ საქმეში ადმინისტრაციული ორგანოების გარდა ფართოდ ჩაბმულია რესპუბლიკის საზოგადოებრიობა.

პ. ბერძენიშვილმა თავის მოხსენებაში დიდი ყურადღება დაუთმო ისეთ საკითხებს, როგორიც არის სამართლის პროპაგანდა მოსახლეობაში, შრომითი კანონმდებლობის დარღვევების შემთხვევები და უსაფრთხოების ტექნიკის წესები, უხარისხო პროდუქციის გამოშვება, მიწის ნაკვეთების გაყიდვა, თვითნებური მშენებლობა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ცუდად მოვლა, მომხმარებელთა მოტყუება. მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბრძოლას ნარკომანიის წინააღმდეგ.

შეეხო რა საგამოძიებო მუშაობის გაუმჯობესებას, პ. ბერძენიშვილმა აღნიშნა, რომ ახლა ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებს აქვთ გამოძიების წარმოების უახლესი ტექნიკური საშუალებანი. სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, გურჯაანსა და სხვა ქალაქებში შეიქმნა კრიმინალისტიკის კაბინეტების ფილიალები იმისათვის, რომ დავეუფლოთ საშიში დანაშაულის გამოძიების მეცნიერულ-ტექნიკურ საშუალებებს და პრაქტიკაში დავნერგოთ მეცნიერული რეკომენდაციები. მაგრამ პრაქტიკამ ცხადყო, რომ ჯერ კიდევ ყველა გამომძიებელმა როდი ისწავლა კრიმინალისტური ტექნიკის გამოყენება დანაშაულის გამოძიების დროს.

რესპუბლიკის პროკურატურა დიდ მუშაობას ეწევა იმისათვის, რომ კიდევ უფრო გააუმჯობესოს სასამართლოებში სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეების განხილვის კანონიერებისადმი ზედამხედველობა. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სახელმწიფო ბრალმდებლის როლის ამაღლებას, კასაციების განხილვისადმი საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერებას. ამ ღონისძიებებმა ხელი შეუწყო საპროკურორო ზედამხედველობის დონის ამაღლებას და დადებითი გავლენა მოახდინა სასამართლო პრაქტიკის მდგომარეობაზე. მაგრამ, დამნაშავეობის ცალკეულ კატეგორიათა მიხედვით, როგორიცაა სპეკულაცია და მყიდველთა მოტყუება, სასამართლოების სადამსჯელო პრაქტიკა ჯერ კიდევ ვერ არის ეფექტიანი. ახლა ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მთლიანად ამოვფხვრათ ამგვარი ხასიათის დანაშაული.

მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა რესპუბლიკის პროკურატურა საჩივრების, განცხადებების გარჩევისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციისათვის. პროკურატურის ორგანოების მუშაკები ახლა უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ მშრომელთა წერილების განხილვას, მოქალაქეთა მიღებას უშუალოდ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ამის შედეგად შემცირდა საჩივრებისა და განცხადებების, განმეორებითი საჩივრების რიცხვიც.

წელიწადზე ნაკლები დარჩა ვ. ი. ლენინის დაბადების დიდ საიუბილეო თარიღამდე, თქვა დასასრულ პ. ბერძენიშვილმა. პროკურატურის ორგანოებმა ეს დრო უნდა გამოიყენონ სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, საშიშ დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერებისათვის, დანაშაულთა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილებისათვის. მათ ყველაფერი უნდა იღონონ, რათა ბელადის იუბილესათვის მინიმუმამდე შევამციროთ დანაშაულის ჩადენის შემთხვევები.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ ზ. რონიშვილმა გააკეთა საინფორმაციო მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოები სსრ კავშირის პროკურატურის კოლეგიის 1969 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებას პროკურორთა და გამომძიებელთა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის.

განხილულ საკითხებზე კამათში გამოვიდნენ ქალაქ თბილისის პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი ს. ნანიტაშვილი, აჭარის ასსრ პროკურორი დ. ბაჟელიძე, აფხაზეთის ასსრ პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი ნ. ქვარჩხია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე მ. ზვასალია, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე მ. ჭუჭავა, საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე მ. პრავდინი, ქალაქ ქუთაისის პროკურორი ა. ძღენტი, საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეების განხილვისადმი ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ლ. ზაიჩიკი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ს. ქაჯაია, ქალაქ ტყიბულის პროკურორი გ. აბდუშელაშვილი, საქართველოს სსრ პროკურატურის არასრულწლოვანთა საქმეების განყოფილების უფროსი თ. ფოცხვერია.

კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება განხილულ საკითხებზე. (საქინფორმი).

# წერილები რედაქციას

## ეს დიდი უპატივცემულობაა

### ძმათა სასაფლაო მარტო დაღუპულთა მოგონება არ არის

მდინარე ჭანჭახის პირად, რომელიც კურორტ შოვში მოედინება, მამისონის უღელტეხილისაკენ მიმავალ გზაზე ორი უპატრონოდ მიტოვებული სასაფლაოა. სახერხი ქარხნის მუშაკებს აქ უზარმაზარი მორები დაუყრიათ. სასაფლაოებს სულ ოთხ-ოთხი კვადრატული მეტრი აქვთ დაკავებული და ირგვლივ საკმაო ტერიტორიაა. ერთი საფლავის ღობე მიგდებული მორით არის ჩალეწილი. სასაფლაოები შემოკავებული რომ არ იყოს, კაცის ყურადღებას მაინც მიიქცევდა, რადგან ახლომახლო ველური ბალახი ისე მორეული არსად არ არის, როგორც ამ ადგილზე. გადასწევთ ბალახს და, დაჟანგული რკინის ნაჭერზე გაჭირვებით ამოიკითხავთ, რომ ეს არის იმ ადამიანების ძმათა სასაფლაო, რომლებიც გმირულად იცავდნენ სამშობლოს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან დიდ სამამულო ომში.

ვინ არიან ესენი? მათი სახელები არ წერია და ამის შესახებ ცნობებს ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ვერ მიიღებთ. ეს ცნობები, რასაკვირველია, ამ რაიონის სამხედრო კომისარიატსაც არ მოეპოვება. და, ვფიქრობთ, მათ დაზუსტებაზე საერთოდ არავის უზრუნია. რამდენი კაცი იყო აქ დასაფლავებული, ამის გაგებაც შეუძლებელია, როგორც ეტყობა, ბევრი, რამდენიმე ასეული. ამბობენ, ასეთი სასაფლაო კიდევ ყოფილა აქვე, მაგრამ ახლა მისი კვალი აღარ არის. ერთ გაზაფხულზე აზბოქრებულ მდინარეს დაუნგრევია და თავისი კალაპოტი სწორედ იმ ადგილზე გაუკვალავს.

მართალია, აქ განსვენებულთა სახელები ჩვენთვის ცნობილი არ არის, მაგრამ ერთი ვიცით, რომ ესენი ისინი არიან, რომლებმაც 1942 წლის შემოდგომაზე თავი შესწირეს კავკასიის და კერძოდ მამისონის უღელტეხილის დაცვის საქმეს.

მამისონის უღელტეხილის დაცვა განსაკუთრებით ახსოვს ქართველ გლეხს, მის დედას თუ მეუღლეს. სახალხო ლაშქარში ბევრი იყო მოხუცი, რომელიც მოვიდა თავისი მიწისა და შვილების დასაცავად, მტერთან ანგარიშის გასასწორებლად სოფლების გლოლისა და უწერის და საერთოდ ონისა და ამბროლაურის, ცაგერისა და ლენტეხის რაიონების მშრომელები მთლიანად იყვნენ ჩაბმულნი ამ ბრძოლებში, და ძმათა სასაფლაოზე ამ სოფლებისა თუ რაიონების შვილებიც არიან.

სწორედ ეს გარემოება მეტ გაკვირვებას იწვევს. რატომ არის ეს სასაფლაოები ასე უპატრონოდ?!

ძმათა სასაფლაოსადმი ასეთი უყურადღებობა არა მარტო გაკვირვებას, აღშფოთებასაც იწვევს. ეს აღშფოთება გამოითქმება ყველა იმ ორგანიზაციისადმი, ვისაც ეს საკითხი უშუალოდ ეხება, განსაკუთრებით კი ონის და ამბროლაურის რაიონებისადმი.

ჩვენი აზრით, შოვის ძმათა სასაფლაო უნდა დაამშვენოს არქიტექტურულმა ნაგებობა-მონუმენტმა, რომელიც მარტო დაღუპული გმირებისადმი პატივისცემის გამოხატვა კი არ იქნება, არამედ ისტორიული ძეგლი ქართველი ხალხის ფასდაუდებელი მსხვერპლისა და განუსაზღვრელი წვლილისა, რომელიც მას აქვს გაღებული საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში.

ვ. უვანია,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, სახალხო მოსამართლე.

## შინმოუსვლელთა ობელისკი

211 ვაჟკაცი იბრძოდა სამამულო ომის ფრონტებზე წყალტუბოს რაიონის სოფელ ტყაჩირიდან. მათგან 122 კაცმა ვეღარ იხილა მშობლიური კერა.

სამამულო ომის ინვალიდის ვ. კახაიას ინიციატივითა და მთელი სოფლის მხარდაჭერით შინმოუსვლელთა ხსოვნის უკვდავსაყოფად აგეს ობელისკი.

ზ. ლორთქიფანიძე.

## წერილი არ დაბეჭდილა მაგრამ...

ამას წინათ რედაქციამ მიიღო მამხილებელი წერილი, რომელშიც ავტორი ამხილებდა ვაჭრობის წესების დარღვევას თბილისის გასტრონომვაჭრობის № 45 მაღაზიაში. რედაქციამ საჩივარი სათანადო ზომების მისაღებად თბილისის საცალო ვაჭრობის ორგანიზაციების სამმართველოს გადაუგზავნა.

როგორც თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საცალო ვაჭრობის ორგანიზაციების სამმართველოს უფროსი ამხ. ნ. ზიბილეიშვილი გვატყობინებს, დასახელებულ მაღაზიაში ვაჭრობის წესების დარღვევისათვის გამყიდველ ლ. პოპოვას გამოეცხადა საყვედური, ხოლო გამყიდველ ვ. ქოჩორაშვილს — სასტიკი საყვედური.

მაღაზიაში ვაჭრობის წესების დარღვევის დაშვებისათვის დირექტორ ვ. მაისაიას, დირექტორის მოადგილე დ. ხელაძეს და სექციის გამგე ი. ხუხაშვილს საყვედური გამოეცხადათ.

• • •

სიგნალი, რომელიც რედაქციამ მიიღო, ეხებოდა კონტროლიორ შ. სარალიძის უხეშ მოქმედებას. სიგნალი ზომების მისაღებად თბილისის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორას გადაეგზავნა. კანტორის უფროსი ა. ალავიძე გვწერს:

ავტობუსის მძღოლების, კონდუქტორების, აგრეთვე მგზავრ ე. ქანთარიასადმი უხეშად მოპყრობისათვის კონტროლიორ შ. სარალიძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური და გაფრთხილებულ იქნა, რომ თუ იგი განმეორებით დაუშვებს ასეთ მოქმედებას, განთავისუფლებულ იქნება თანამდებობიდან.

## მივხედოთ კაზრეთის ტაძარს

მდინარე მაშავერას მარჯვენა ნაპირზე, მწვანით შემოსილი ფერდობების ძირში იბადება კიდევ ერთი ქალაქი — კაზრეთი.

კაზრეთიდან ხუთასიოდე მეტრის მოშორებით, ასწლოვანი ხეებით დაბურულ ხეობაში დგას ტაძარი, რომლის გარშემოც სხვადასხვა დანიშნულების რამდენიმე ძველი ნაგებობაა აღმართული. ხეთა ჩრდილებით მოჩითული, მწვანედ მოხასხასე ტაძრის შემოგარენი უქმე დღეებში ხალხით არის სავსე. ეს ადგილები უკვე წარმოადგენენ კაზრეთელი მშრომელების საყვარელ დასასვენებელ ადგილს. ხომ შესაძლებელია, რომ მათ აქ მომავალში პარკი გააშენონ? მსოფლიოში რომელი ქალაქი იტყოდა უარს ათასწლოვან არქიტექტურის ძეგლებზე? მალე აშენდება ქალაქი კაზრეთი და მას ალბათ ექნება კულტურის და დასვენების პარკებიც. მაგრამ სავსებით მოსალოდნელია, რომ იმ დროისათვის იქ აღარ იყოს შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის ერთ-ერთი ბრწყინვალე ძეგლი, სამების სახელზე აგებული კაზრეთის ტაძარი.

როგორ არის იგი მოვლილი? ცუდად! ჩამონგრეულია სახურავი და დაქცეულია სამხრეთის კედელი. ეზო სავსეა მოქეიფეთაგან დატოვებული ათასგვარი ნამუსრევით, შესაზარლად ყრია ყოველ კუთხეში, ყოველ ბუჩქთან აუარებელი კონსერვის ქილები, ტაძრის კედლებზე მილეწილი ბოთლის ნამსხვრევები.

ჩვენს ქვეყანაში ახლა მრავალი ძეგლია კარგად დაცული. დარაჯთა უმრავლესობა კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას, მაგრამ ზოგჯერ ისიც ხდება, რომ ძეგლთა მცველობა, როგორც იოლი შემოსავლის წყარო, დარიგებულია გულქვა, შემთხვევით ადამიანთა შორის. ისინი რაიონის კულტურის განყოფილებებში უფრო ხშირად დაიარებიან ხელფასის მისაღებად, ვიდრე სამუშაოდ მიჩენილ ობიექტებზე. ეს რომ ასეა, ზოგჯერ უბრალო დაკვირვებითაც კი მიხვდება კაცი. მაგალითად, ჭიათურის რაიონში მდებარე კაცხის ტაძრის ეზოში ორი კომლი მოსახლეობს. მათი ოდების აივნები ტაძრის ეზოს გადაჰყურებს, ისინი შინ არიან თუ გარეთ, წამსვლელს და მომსვლელს ყოველთვის კონტროლს უწევენ, მიუხედავად ამისა ძეგლის დაცვა, რომ იტყვიან, ცხრამთას იქით მცხოვრებ კაცს აქვს მინდობილი. გასულ წელს ხუთჯერ მოგვიხდა ძეგლზე მისვლა, მაგრამ ერთხელაც ვერ მოვახერხეთ მცველი გვენახა. კიდევ კარგი, რომ კაცხის ტაძარი კედლით არის შემოღობილი. სამწუხაროდ, კაზრეთის სამება, რომლის მცველია მარიამ დემურიშვილი, მოკლებულია ასეთ სიკეთეს და ამდენად მისი ფასადები ადვილად ხელმისაწვდომ, ფართო ასპარეზს წარმოადგენს ათასი ჯურის მჯღაბნელთათვის. ისინი დანის წვერითა და ფანქრით, ნახშირითა და საღებავით, მაზუთითა და ცარცით უგუნურად ამახინჯებენ ტაძრის კედლებს და ათასგვარი სულელური წარწერებით ცდილობენ თავიანთი სახელის „უკვდავყოფას".

კაზრეთის სამება შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს. დარბაზული ტიპის შენობის პორტალები და სარკმლის კამარები შემკულია ბრწყინვალე ჩუქურთმებითა და რელიეფებით, დასავლეთის კედელზე შესასვლელის მარცხნივ მიწის პირიდან ხუთი მეტრის სიმაღლეზე მოთავსებული იყო ლომის ბარელიეფი. ჩვენ არ შევუდგებით მის მხატვრულ ანალიზს, ვიტყვით მხოლოდ, რომ იგი ამ სახის ხელოვნების შედევრს წარმოადგენს. და აი ვიღაცას თვალში არ მოსვლია ლომის იქედნური გამომეტყველება. ჯერ იყო და მას ტალახი მიატყეპეს, ხოლო შემდეგ კედელზე აფოფხდნენ და ნატიფი ჩუქურთმით შემკული დეკორატიული კოპი, რომელზეც ლომი იყო ჯაჭვით მიბმული, გამოანგრიეს და სადღაც გადააგდეს. ძეგლზე მისული ხელოვნების მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი დიდხანს ეძებდა ამ დეტალს და როგორც იქნა მიაგნო. იგი ტაძრის მოშორებით ბუჩქებში ეგდო. ჩუქურთმიანი ქვა ამჟამად ხელოვნების მუზეუმში ინახება, და მალე დაუბრუნდება თავის ადგილს.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტი ახლა მრავალ ადგილას აწარმოებს სამუშაოებს, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ყველგან ვერ სწვდება თავის საქმეს. ამიტომ ბოლნისისა და განსაკუთრებით კი კაზრეთის ახალ მშენებლობათა ხელმძღვანელმა მუშაკებმა უნდა გამოიჩინონ ინტერესი, იზრუნონ ტაძრის გადარჩენისათვის.

ეკლესიიდან ორი მეტრის დაშორებით გადის სამანქანო გზა, რომელზეც თითქმის ყოველ ორ წუთში ოცდახუთტონიანი მანქანები დაგრიალებენ. ზანზარებს სახურავგადახსნილი და კედელჩამონგრეული ეკლესია და ყოველ წუთს დანგრევა ელის. მშენებლობასთან დაკავშირებით ტაძრის აღმოსავლეთით გზის გაყვანის შედეგად დანგრეულია რაღაც ნაგებობა. ეს გზა მომავალში კიდევ გაფართოვდება. სამშენებლო ორგანიზაცია მორალურად მაინც ვალდებულია გარკვეული თანხა გაიღოს და სათანადო ორგანიზაციებისა და სპეციალისტების ჩარევით ძეგლი დაღუპვას გადაარჩინოს.



სურათზე: კაზრეთის სამების ტაძრის დასავლეთი ფასადი.

შ. ამირანაშვილი,
საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, აკადემიკოსი.

ჯ. ნადირაძე,
წინაფეოდალური ხანის განყოფილების გამგე.

გ. სოხაშვილი,
უფროსი მეცნიერი მუშაკი.

ი. უზნაძე,
სწავლული მდივანი.

ი. ჯანდიერი,
უფროსი მეცნიერი მუშაკი.

# საერთაშორისო ცხოვრება

## უშიშროების საბჭოში

[illegible]

...ბაცია გაეროთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტის შელახვა და ნამიბიელი ხალხის სუვერენიტეტის დარღვევა.

უშიშროების საბჭო კვლავ ადასტურებს ნამიბიელი ხალხის ბრძოლის კანონიერებას ნამიბიის ტერიტორიაზე სამხრეთ აფრიკის ადმი-...

## გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

[illegible]

## დამოუკიდებლობის 22 წლისთავი

[illegible]

...სერიოზული ლახვარი იყო მთელს იმპერიალისტურ სისტემაზე.

საერთაშორისო ასპარეზზე გამოჩნდა მრავალმილიონიანი სახელმწიფო, რომელიც თანამიმდევრულად ახორციელებს მიუმხრობლობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, რომელმაც აიღო დამოუკიდებელი ეკონომიური განვითარების მტკიცე კურსი.

კოლონიური მემკვიდრეობის დაძლევისათვის ბრძოლაში ინდოეთი წააწყდა მრავალ რთულ პრობლემას. მიუხედავად ამისა, ინდოეთის წარმატებანი გასული 22 წლის მანძილზე მეტად მნიშვნელოვანია. ინდოეთი, რომელიც წარსულში მხოლოდ ნედლეულის წყარო იყო, ახლა საერთაშორისო ბაზარზე ცნობილია როგორც ბევრი სამრეწველო საქონლის, მათ შორის მეტალურგიული და მანქანათმშენებლობის პროდუქციის ექსპორტიორი.

შეიმჩნევა გარკვეული ძვრები სოფლის მეურნეობაში. შარშან ინდოეთმა მარცვლეული კულ-...

...ინდოელი ხალხის ძირეულ ინტერესებს.

მიმდინარე წელს ინდოეთი აღნიშნავს თავისი დამოუკიდებლობის წლისთავს დემოკრატიული და რეაქციული ძალების გამწვავებული ბრძოლის პირობებში, რაც გამოიწვია 14 მსხვილი კერძო ბანკის ნაციონალიზაციამ. მთავრობის ამ გადაწყვეტილებას ფართოდ დაუჭირეს მხარი ხალხის მასებმა, ინდოეთის მთელმა პროგრესულმა ძალებმა. ამასთან რეაქციულმა ძალებმა, რომელთა ზურგს უკან დგას მონოპოლისტური კაპიტალი, გაილაშქრეს ამ პროგრესული ღონისძიების წინააღმდეგ.

შექმნილ ვითარებაში, როგორც ინდოეთის პროგრესულ წრეებში აღნიშნავენ, საჭიროა მთელი პროგრესული დემოკრატიული ძალების მოქმედების ერთიანობა, რათა საკადრისი პასუხი გასცენ რეაქციის ძალებს. ეს ერთიანობა აუცილებელი პირობაა დამოუკიდებლობისა და პროგრესის გზაზე ინდოეთის შემდგომი წინსვლისათვის.

## საფინანსო სკანდალი ესპანეთში

პარიზი, 14 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის მადრიდელი კორესპონდენტი იტყობინება, ესპანეთში მოხდა საფინანსო სკანდალი.

გამოირკვა, რომ კომპანია „მატესას", რომელმაც რვა წლის მანძილზე ესპანეთის ცენტრალური ბანკისაგან ისესხა 12 მილიარდი პესეტი (დაახლოებით 1 მილიარდი ფრანკი), გადახდის უნარი არა აქვს. ამ კომპანიამ, რომელიც საქსოვ დაზგებს ამზადებს, სხვადასხვა ქვეყანაში გახსნა თავისი პროდუქციის გასაღების ფილიალები. სინამდვილეში დაზგები საწყობებში გროვდებოდა და არ საღდებოდა. კომპანია კი კვლავ იღებდა კრედიტებს, რომლებსაც ესპანეთის მთავრობა აძლევს ექსპორტის წასახალისებლად.

როცა კომპანია „მატესამ" რამდენიმე კვირის წინათ ბანკს სთხოვა ახალი „კრედიტი" 5 მილიარდი პესეტი, მოულოდნელად გამომჟღავნდა ფირმის თაღლითობა.

## საშიში გადაზიდვები

ლონდონი, 13 აგვისტო. (საკდესი). ინგლისის საზოგადოებრიობის პროტესტის მიუხედავად, ინგლისის თავდაცვის სამინისტრო კვლავ განაგრძობს ნერვულ-პარალიზური მოქმედების გაზის ბალონების ტრანსპორტირებას დაბა ნენსკიუკიდან (კორნუელის საგრაფო) პორტონ-დაუნის ლაბორატორიაში (უილტშირის საგრაფო). იქ წარმოებს გამოკვლევები ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის დარგში.

## სირიაში — გამოსაძიებლად

დამასკო, 14 აგვისტო (საკდესი). სირიაში ჩავიდა საერთაშორისო ჯგუფი, რომელიც გამოიძიებს ისრაელის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევებს ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე. ანგარიშს თავისი საქმიანობის შედეგების შესახებ ჯგუფი წარუდგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

## მღელვარება ლონდონდერიში

ლონდონი, 13 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ა. დრიახლოვი იტყობინება:

დღეს ირლანდიის მთავრობამ ბოლომდე აკრძალა ყოველგვარი ლაშქრობების, დემონსტრაციებისა და მასობრივი მიტინგების მოწყობა. ეს გადაწყვეტილება მიიღეს კაბინეტის საგანგებო სხდომაზე, რომელიც წუხელ შეიკრიბა იმასთან დაკავშირებით, რომ ქუჩის ბრძოლები არ წყდება ლონდონდერიში. წუხელ მთელი ღამე და დღეს დილით ლონდონდერიში გაისმოდა ბომბების აფეთქების ხმა, ტყვიების ზუზუნი. ქალაქის ხან ერთ, ხან მეორე რაიონში დემონსტრანტები უტევენ პოლიციას, რის შედეგად ათასზე მეტი კაცი სერიოზულად დაშავდა.

ეკონომიურმა მოდუნებამ, ქრონიკულმა უმუშევრობამ, სიღატაკემ და ჯურღმულებმა აგრეთვე იმან, რომ ჩრდილოეთ ირლანდიის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს არ გააჩნია მოქალაქეობრივი უფლებანი, 10 თვის წინათ გამოიწვიეს პოლიტიკური კრიზისი, რომელიც მწვავდება.

ჩრდილოეთ ირლანდიის კონსერვატიული მთავრობა უძლური აღმოჩნდა გადაეწყვიტა ოლსტერის წინაშე მდგარი პრობლემები. მოქალაქეობრივი უფლებებისათვის, რადიკალური სოციალური და ეკონომიური რეფორმებისათვის მოძრაობის ზრდას იგი უპასუხებს პოლიციური ტერორით.

ლონდონი, 14 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ვ. ნიკიტინი გვატყობინებს: ჩრდილოეთ ირლანდიის სიდიდით მეორე ქალაქ ლონდონდერიში გრძელდება გაამწვავებული შეტაკებანი მოსახლეობასა და პოლიციას შორის. უკანასკნელი მონაცემების თანახმად, 18 საათს არ შეწყვეტილა მღელვარება, რომლის დროსაც 280 კაცი დაიჭრა, დაიწვა ათობით სახლი. განსაკუთრებით გაამწვავებული ბრძოლებია ბოგსაიდის რაიონში, სადაც, როგორც გაზეთი „ივნინგ ნიუსი" წერს, პოლიციამ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. ბოგსაიდის მოსახლეობამ ამ ღონისძიების წინააღმდეგ პოლიციას ქვები და საწვავსითხიანი ბოთლები დაუშინა. ქალაქში სწრაფად გადაყავთ ინგლისის ჯარების ქვეგანაყოფები. უკანასკნელი მონაცემებით, დაახლოებით 300 ინგლისელი ჯარისკაცი თვით ლონდონდერიში იმყოფება.

მოქალაქეობრივ უფლებათა დაცვის ასოციაციის ხელმძღვანელობამ ჩრდილოეთ ირლანდიაში გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მოითხოვს პოლიციურ ღონისძიებათა დაუყოვნებლივ შეწყვეტას. ასოციაცია აცხადებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ახალ საპროტესტო დემონსტრაციებს გაიმართავთ.

## ისრაელის მხედრიონის პროვოკაციები

ამანი, 14 აგვისტო. (საკდესი). ისრაელის მხედრიონი განაგრძობს პროვოკაციებს მეზობელი არაბული ქვეყნების წინააღმდეგ.

იორდანიის შეიარაღებული ძალების სარდლობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გუშინ ისრაელის ჯარებმა არტილერიის, ნაღმსატყორცნებისა და ტანკების ცეცხლი დაუშინეს იორდანიის ჯარების პოზიციებს ემირ აბდულის ხიდის (მდინარე იორდანის ხეობის სამხრეთი ნაწილი) რაიონში. იორდანიის ჯარებმა ცეცხლითვე უპასუხეს. სროლის დროს იორდანიელებმა მოსპეს ისრაელის ორი ტანკი და ერთი სამხედრო ავტომანქანა. იორდანიის მხარეს ზარალი არ მოსვლია.

კაირო, 14 აგვისტო (საკდესი). გუშინ სუეცის არხის ზონაში ცეცხლის შეწყვეტის მთელ ხაზზე ისრაელისა და ეგვიპტის ჯარებს შორის ატყდა გაამწვავებული საარტილერიო სროლა.

შემდეგ სროლა ატყდა სუეცის არხის სამხრეთ ნაწილში რას მასალისა და აინ მუსის რაიონში. ეგვიპტელებმა მოსპეს ისრაელის 12 სამხედრო ავტომანქანა.

## მხოლოდ ფაქტები

● **არაბი** პარტიზანები უნარიანი მოქმედების შედეგად ზარალს აყენებენ ისრაელის ჯარებს. მენის სააგენტომ გაავრცელა სამხედრო კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ რამდენიმე ავტომანქანა, რომელშიც ისრაელი ჯარისკაცები ისხდნენ, ნაღმებით აფეთქეს „სინაის არაბთა ორგანიზაციის" პარტიზანებმა ვადი გაზალისა (სინაის სამხრეთი) და შარმ-შეიხის რაიონებში.

● **სამხრეთ** ვიეტნამის განმათავისუფლებელი არმიის რაზმები და კუანგჩის პროვინციის ჩრდილოეთი ნაწილის მოსახლეობა 7-დან 10 აგვისტომდე უტევდნენ ამერიკა-საიგონის ჯარების ათამდე პოზიციას № 10 გზატკეცილის გასწვრივ. ამას იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც იმოწმებს განთავისუფლების სააგენტოს.

● **ვინდჰუკში** (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) მიმდინარეობს სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის (ნამიბიის) პატრიოტთა ჯგუფის მორიგი გასამართლება. ასამართლებენ ნამიბიის რვა მოქალაქეს — სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლებს. ეს ნათქვამია დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის განცხადებაში, რომელიც აქ გაავრცელეს.

● **კენედის** სახელობის საერთაშორისო აეროპორტის საბაჟოს მოხელეებმა ნიუ-იორკში კონფისკაცია უყვეს 4 ათას მეტრ კინოფირს, რომელიც სამმა ამერიკელმა კინოოპერატორმა ჩამოიტანა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. ოპერატორებს განზრახული ჰქონდათ თავიანთ დოკუმენტურ ფილმში ეთქვათ სიმართლე იმაზე, თუ რა ხდება ვიეტნამში.

● **მორიგი** სერიოზული შერყევა განიცადა ინგლისის ეკონომიკამ — ასე აფასებენ ეკონომიური მიმომხილველები ვაჭრობის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ცნობებს ინგლისის საგარეო-სავაჭრო ბალანსის დეფიციტის შესახებ მიმდინარე წლის ივლისში. ამ მონაცემების თანახმად, დეფიციტმა გასულ თვეში 37 მილიონი გირვანქა სტერლინგი შეადგინა (ივნისში იგი 25 მილიონს უდრიდა), ლონდონის ბირჟა დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ვაჭრობის სამინისტროს ცნობას გირვანქა სტერლინგის კურსის ახალი დაცემით.

## რა მოჰყვა ფრანკის დევალვაციას

ბონი, 14 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ვ. სეროვი გვატყობინებს: დავამ, თუ რა შედეგები მოჰყვება ფრანკის დევალვაციას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის, გამოიწვია მძაფრი უთანხმოება ბონის მთავრობის კოალიციაში. 12 აგვისტოს მთელ დღეს ბჭობდნენ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები, გუშინ კი თათბირი გამართა ამ პარტიების კოალიციურმა კომიტეტმა, მაგრამ შეთანხმებას მაინც ვერ მიაღწიეს. აღსანიშნავია, რომ ბონის ორი მინისტრი — შტრაუსი (ქრისტიანულ-სოციალური კავშირი) და შილერი (გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია), რომლებიც დიამეტრალურად მოწინააღმდეგე პოზიციებს ადგანან საველუტო დავაში, საერთოდ არ დასწრებიან მთავრობის სხდომას.

სოციალ-დემოკრატთა აზრით, ფრანგული ფრანკის დევალვაციამ დაადასტურა, რომ დასავლეთში ვალუტების თანაფარდობა „დეფორმირებული იყო და ასევე დარჩა". ამიტომ მათ საჭიროდ მიაჩნიათ დასავლეთგერმანული მარკის „ზომიერი რევალვაცია" (კურსის ამაღლება). გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია შიშობს, რომ საწინააღმდეგო შემთხვევაში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაძლიერდება ინფლაციის ტენდენციები და გაიზრდება ფასები.

კიზინგერ-შტრაუსის პარტია — ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი-ქრისტიანულ-სოციალური კავშირი — კვლავ კატეგორიულად ილაშქრებს მარკის რევალვაციის წინააღმდეგ. ეს პარტია იცავს მსხვილი სამრეწველო წრეების ინტერესებს, რომლებიც ესწრაფვიან უფრო მოიკიდონ ფეხი საგარეო ბაზრებზე და თავის პოზიციას იმით ასაბუთებს, რომ მარკის რევალვაციას შეუძლია შეანელოს დასავლეთ გერმანიის მონოპოლიათა საექსპორტო ექსპანსიის ტემპი.

„გერმანიის სამრეწველო ინსტიტუტმა", რომელიც მსხვილი კაპიტალის ინტერესებს იცავს, აგრეთვე მხარი დაუჭირა იმას, რომ დღის წესრიგიდან მოიხსნას მარკის რევალვაციის საკითხი.

როგორც ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირ-ქრისტიანულ-სოციალურ კავშირს, ისევე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამრეწველო წრეებს ნაკლებად აწუხებთ გაძლიერებული ინფლაცია და ფასების ზრდა, რაც უწინარეს ყოვლისა მშრომელებისათვის არის საზარალო.

პარიზი, 14 აგვისტო. (საკდესი). საფრანგეთში უკვე დაიწყო ფასების ზრდა, რაც აქ მიაჩნიათ ფრანკის დევალვაციის პირველ შედეგად. პარიზის საბითუმო ბაზარზე 10 პროცენტით გაძვირდა ციტრუსები, გამოაცხადეს, რომ გაძვირდა საიმპორტო თევზი. საერთაშორისო ავიაკომპანიებმა გამოაცხადეს, რომ საერთაშორისო ავიახაზებზე გაძვირდა (ფრანკზე გადაანგარიშებით) იმ თვითმფრინავების ბილეთები, რომლებიც პარიზიდან მიდიან.

მთავრობამ გამოაცხადა, რომ გაიზარდა რძისა და ხორცის შესასყიდი ფასები. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „პარი-ჟური" წერს, რომ უახლოეს დროში 2-4 პროცენტით გაიზრდება ხორცის, რძის ყველა პროდუქტის, ბოსტნეულისა და ხილის საცალო ფასები.

საფრანგეთის პროფკავშირებმა და სხვა მასობრივმა ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს განცხადებანი, რომლებშიც ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ ხელისუფალთა განზრახვის წინააღმდეგ დევალვაციის ეკონომიური და საფინანსო შედეგების მთელი სიმძიმე დააკისრონ ფრანგ მშრომელებს.

შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივანი ჟორჟ სეგი გაზეთ „ლუმანიტეში" გამოქვეყნებულ სტატიაში ხაზს უსვამს, რომ ფრანგი მშრომელები სულაც არ აპირებენ თავის ზურგზე გადაიტანონ საფინანსო კრიზისის სიძნელენი, რომლისთვისაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ საფინანსო და სამრეწველო ოლიგარქიასთან დაკავშირებულ სპეკულანტებს. შრომის საყოველთაო კონფედერაცია მოუწოდებს ერთიანი პროფკავშირული ფრონტის შექმნისათვის მონოპოლიათა ახალი შეტევის მოსაგერიებლად.

პარიზი, 14 აგვისტო. (საკდესი). პარიზის ბირჟაზე ძლიერდება ოქროს სპეკულაცია ფრანკის დევალვაციასთან დაკავშირებით. ოქროს ფასი მატულობს. გუშინ კილოგრამი ოქროს ზოდის ფასმა 50 ფრანკით აიწია და მიაღწია 7.500 ფრანკს.

## სტუმრად სლოვაკიაში

ბრატისლავის იან ამოს კომენსკის სახელობის უნივერსიტეტს 50 წელი შეუსრულდა. ამ იუბილეზე დასწრება საინტერესო იყო იმ მხრივაც, რომ იგი თითქმის ტოლია თბილისის უნივერსიტეტისა.

მოსკოვში, ჩეხოსლოვაკიის საელჩოში პროფესორი დ. ლორთქიფანიძე და ამ სტრიქონების ავტორი მიგვიღეს საელჩოს კულტურულმა ატაშემ ირჟი ტაუფერმა და საელჩოს მდივანმა მიროსლავ ნიკლმა. ირჟი ტაუფერი ცნობილი პოეტია. იგი ქართველი პოეტების მეგობარია. უსაზღვრო სიყვარულით მოიგონა საქართველოში გატარებული დღეები.

დილით უკვე პრაღაში ვართ. საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების წარმომადგენლები გულთბილად გვხვდებიან. შემდგომი გზა ბრატისლავამდე მატარებლით გავიარეთ. ულამაზესი ბუნება მშრომელი ადამიანის გამრჯე მარჯვენას კიდევ უფრო დაუმშვენებია.

ბრატისლაველები შესანიშნავი მასპინძლები აღმოჩნდნენ. ოფიციალური ზეიმის წინადღით საბჭოთა დელეგაცია მიიღო უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა ბ. ცამბელმა. სტუმართა პირველი ოფიციალური გაცნობა დუნაიზე, თბომავალ „რაკეტაზე" მოხდა. 100-ზე მეტი უნივერსიტეტი მონაწილეობდა ამ ზეიმში.

ჩვენ თბილისის უნივერსიტეტის სახელით გადავეცით საიუბილეო ადრესი, რომლის მილოცვის ტექსტი ქართულ, სლოვაკურ და ლათინურ ენებზე იყო შედგენილი. ადრესი გააფორმა მხატვარმა კობა გურულმა. ადრესის ყდაზე ოსტატურად გამოხატულმა იან ამოს კომენსკის პორტრეტმა და ქართულმა წარწერამ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. პროფესორი ბ. ცამბელი თბილისის უნივერსიტეტის საიუბილეო მედლით არის დაჯილდოებული. მედალი საზეიმო ვითარებაში გადავეცით ბრატისლავის უნივერსიტეტის რექტორს, ჩვენი უნივერსიტეტის საიუბილეო გამოცემებთან ერთად.

სტუმრები იმავე დღეს მიიღო სლოვაკიის მთავრობის თავმჯდომარემ პ. ცოლოტკამ, რომელიც ბრატისლავის უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის პროფესორია.

დაიწყო უნივერსიტეტის შენობიდან ტრადიციულ მანტიებში გამოწყობილ მეცნიერთა მსვლელობა ისტროპოლიტანის აკადემიის ყოფილი შენობისაკენ. 1967 წელს ამ აკადემიის დაარსებიდან 500 წელი შესრულდა. აკადემიის შენობის წინ შედგა საიუბილეო მიტინგი. შემდეგ კი ზეიმის მონაწილენი ავტომანქანებით მივიდნენ ბრატისლავის კრემლამდე.

ბრატისლავის კრემლში გაიმართა დიდი ზეიმი, რომელსაც ოფიციალური პირებიც დაესწრნენ. ამ ზეიმზე მოვიდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ლ. სვობოდა, რომელიც გულთბილად მიესალმა ზეიმის მონაწილეებს და რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო — ორდენი გადასცა ბრატისლავის იან ამოს კომენსკის სახელობის უნივერსიტეტს. სახელმწიფო ორდენებით დააჯილდოვეს აგრეთვე უნივერსიტეტის პროფესორთა დიდი ჯგუფი. ყოველი ზეიმი მთავრდებოდა სტუდენტთა შესანიშნავი უძველესი სიმღერით „გაუდეამუს იგიტურ". იმავე დღეს სტუმრები მიიღო სკოლების მინისტრმა მ. ლუჩანმა.

ულამაზეს სააქტო დარბაზში გაიმართა იან ამოს კომენსკის სახელობის უნივერსიტეტის დაარსების ზეიმი. სტუმრები უნივერსიტეტების ასაკის მიხედვით დაეწყვნენ. მართალია, ბევრი უნივერსიტეტი ჩვენზე წინ იყო, მაგრამ არც თუ ისე ცოტა აღმოჩნდა ჩვენს შემდეგ, მომდევნო ადგილებზე.

პრეზიდიუმში ადგილები რექტორატის წარმომადგენლებმა და დეკანებმა დაიკავეს, მათ გვერდით კი — საპატიო დოქტორებმა. საპატიო ადგილზე დასვეს ყოფილი რექტორები. იან ამოს კომენსკის უნივერსიტეტის 50 წლისთავის შესახებ მოხსენება წაიკითხა რექტორმა პროფესორმა ბ. ცამბელმა. მან აღნიშნა, თავისთავად ორმოცდაათი წელი უნივერსიტეტის ისტორიაში დიდი ვადა არ არის, მაგრამ ბრატისლავის უნივერსიტეტის როლი სლოვაკი ხალხის ისტორიაში განსაკუთრებულია. ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის შექმნისთანავე წარმოიშვა ბრატისლავის უნივერსიტეტი, იგი სლოვაკი ხალხის მოწინავე შვილებმა დააარსეს ჩეხი მეცნიერების მხარდაჭერითა და დახმარებით. ათასი წლის ჩაგვრის შემდეგ სლოვაკმა ხალხმა პირველად მიიღო უმაღლესი ეროვნული სკოლა, რომელმაც არა მარტო გადამწყვეტი როლი შეასრულა სლოვაკი ინტელიგენციის აღზრდის საქმეში, არამედ სლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის დაარსების საფუძველი გახდა. ამ უნივერსიტეტს სხვადასხვა ქალაქში აქვს ფაკულტეტები; ერთ-ერთი მათგანი ქალაქ კოშიცეში სლოვაკიის მეორე უნივერსიტეტის შექმნის საფუძველიც გახდა.

იუბილარს პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სახელით მიესალმა სლოვაკიის ეროვნული კრების თავმჯდომარე ო. კლოკოჩი.

სლოვაკიის სკოლების მინისტრმა დოქტორმა მ. ლუჩანმა საზეიმოდ გამოაცხადა, რომ ქალაქ მარტინში შექმნილია ახალი, რიგით მესამე სამკურნალო ფაკულტეტი ბრატისლავის უნივერსიტეტისა. და მისი დეკანი პრეზიდიუმში მიიწვია.

ჩეხოსლოვაკიის უმაღლესი სკოლებიდან პირველი სიტყვა მისალმებისათვის მიეცა მსოფლიოში სახელგანთქმულ ერთ-ერთ უძველეს პრაღის კარლოსის სახელობის უნივერსიტეტის (დაარსებულია 620 წლის წინათ) რექტორს.

სტუმართაგან მისალმებები წარმოთქვეს ნეაპოლის (იტალია) უძველესი უნივერსიტეტის (745 წლისა) წარმომადგენელმა პროფესორმა ლ. პაჩინიმ. იგი 1966 წელს მონაწილეობდა რუსთაველის იუბილეს ზეიმში. პროფესორმა პაჩინიმ უსაზღვრო კმაყოფილებით მოიგონა საქართველოში გატარებული დღეები. მან მეტად მაღალი შეფასება მისცა თანამედროვე ქართულ ჭედურ ხელოვნებას, და სურვილი გამოთქვა მოაწყოს იტალიაში ხელოვნების ამ დარგის გამოფენა უძველესი დროიდან დღემდე.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ უძველესი უნივერსიტეტების — სორბონის, კრაკოვის, ჰალესა და მაინის ფრანკფურტის უნივერსიტეტების — წარმომადგენლები. საბჭოთა უნივერსიტეტების სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ლვოვის უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა ნ. მაქსიმოვიჩმა.

## მეგობრების უნივერსიტეტის იუბილეზე

გაიმართა იან ამოს კომენსკის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ცერემონიალი. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 14 მეცნიერთა შორის ბრატისლავის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის დიპლომი და ოქროს მედალი გადაეცა საბჭოთა კავშირიდან მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორს პ. გ. ბოგატირიოვს და, როგორც უკვე ცნობილია, ჩვენს თანამემამულეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს დ. ლორთქიფანიძეს.

იუბილეს დღეებში მოეწყო ორი დიდი გამოფენა: ერთი ბრატისლავის კრემლში — „სლოვაკიაში უმაღლესი სკოლის განვითარება", მეორე — საერთაშორისო გამოფენა „ახალი სკოლის" სახელწოდებით. გავეცანით ფაკულტეტებისა და კათედრების მუშაობას.

ყველგან მთელ ქვეყანაში შესამჩნევი იყო, რომ უსაზღვროდ უყვართ უნივერსიტეტი, ცოდნის უშრეტი წყარო, განათლებისა და კულტურის ტაძარი. უნივერსიტეტს ხალხის მხარდაჭერა და სიყვარული აახლოებს.

ჭეშმარიტად საერთო-სახალხო ზეიმი იყო ბრატისლავის იან ამოს კომენსკის სახელობის უნივერსიტეტის 50 წლისთავის გრანდიოზული იუბილე, მისი ორგანიზატორების მიერ ნიჭიერად მოწყობილი და განხორციელებული.

პროფ. ს. ჯორბენაძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო მუშაობის დარგში.

## ფოტოსურათები კომენტარით





### ამყარებენ „წესრიგს"

ბი ოსინი, „წესრიგის" დამცველნი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში! მარცხენა სურათზე თქვენ ხედავთ ახმახ მოიერიშეებს, რომლებიც გულმოდგინედ იცავენ თავიანთი ნეონაცისტური ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის თავყრილობის ადგილს. მეორე სურათზე — ქალაქ ბოხუმში პოლიციელებმა გარეკეს მუშები, რომლებმაც მოაწყეს საპროტესტო მიტინგი ნეოფაშისტური მოძრაობის გააქტიურების წინააღმდეგ.

რას აკეთებენ ამ დროს ხელისუფალნი? ისინი ყველაფერზე ხელს იბანენ, ცდილობენ დაამტკიცონ, ნეონაცისტური პარტიის საქმიანობა „კანონიერია", ანდა გზავნიან თავით ფეხთამდე შეიარაღებულ პოლიციელთა რაზმებს, რომლებიც ნეონაცისტების შეკრებათა ადგილებში მაშინვე „ამყარებენ წესრიგს".

სურათები გაზეთებიდან „დოიჩე ფოლკსცაიტუნგიდან" და „ნოიეს დოიჩლანდიდან".

## ყოველი მხრიდან

14 აგვისტო

რაზე წერს უცხოეთის პრესა

თელავიველი ექსტრემისტები კვლავ ამწვავებენ ვითარებას ახლო აღმოსავლეთში. უცხოეთის პრესა ბეჭდავს ცნობებს, რომ ისრაელის თვითმფრინავები თავს ესხმიან ეგვიპტისა და იორდანიის თავდაცვითს ნაგებობებს ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე გაღმა. სუეცის არხისა და მდინარე იორდანის გასწვრივ გრძელდება საარტილერიო დუელი. ამავე დროს ისრაელის ხელმძღვანელები სახალხოდ აკეთებენ აგრესიულ განცხადებებს.

უცხოეთის პრესა ბეჭდავს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის საზღვარზე ჩინეთის ხელისუფალთა ახალი შეიარაღებული პროვოკაციის შესახებ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტის შინაარსს.

უცხოეთის გაზეთებში კვლავ განმარტავენ ზამბიის პრეზიდენტის კ. კაუნდას გადაწყვეტილებას სახელმწიფო კონტროლს დაუქვემდებაროს უცხოეთის იმ სამთამადნო კომპანიების საქმიანობა, რომლებიც სპილენძის მადანს იღებენ. პოლონეთის „ჟიჩე ვარშავი" წერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის შემდეგ ზამბია სპილენძის მესამე მწარმოებელია მსოფლიოში. ამიტომ საკვირველიც არ არის, აღნიშნავს გაზეთი, რომ სამი დღის შემდეგ, რაც ზამბიამ თავისი გადაწყვეტილება გამოაცხადა, ეს ქვეყანა ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიებთან აშკარა ეკონომიური ომის მდგომარეობაში აღმოჩნდა. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არის საშიშროება, სულ უფრო გაძლიერდება პოლიტიკური ზეგავლენა ზამბიაზე.

უცხოეთის პრესა ბეჭდავს უამრავ ცნობას და კომენტარს ფრანგული ფრანკის დევალვაციასთან დაკავშირებით. პარიზის „ლუმანიტე" წერს, რომ საფრანგეთის მთავრობის ეს ღონისძიება დაგმეს ქვეყნის უდიდესმა პროფკავშირულმა გაერთიანებებმა. პროფკავშირთა განცხადებებში ხაზგასმულია მტკიცე გადაწყვეტილება იბრძოლონ ხელისუფალთა განზრახვის წინააღმდეგ, რომ დევალვაციის ეკონომიური და ფინანსური შედეგების მთელი სიმძიმე მშრომელებს დააკისრონ. ფრანკის დევალვაციის პირველ შედეგად საფრანგეთში მიაჩნიათ საბითუმო ფასების ზრდა, რომელიც უკვე დაიწყო. გაზეთი „პარი-ჟური", კერძოდ, წერს, რომ უახლოეს დროში გაიზრდება ხორცის, რძის პროდუქტების, ბოსტნეულისა და ხილის საცალო ფასები.

ამერიკის დღევანდელ გაზეთებში გამოქვეყნდა გამოძიების ფედერალური ბიუროს მოხსენება, რომელშიც აღნიშნულია, რომ 1968 წელს დამნაშავეობა ამერიკის შეერთებულ შტატებში წინა წელთან შედარებით 17 პროცენტით გაიზარდა. ლონდონის პრესა დიდ ადგილს უთმობს ჩრდილოეთ ირლანდიაში შექმნილ მდგომარეობას. ინგლისის გაზეთების უმრავლესობის აზრით მდგომარეობა გაერთიანებული სამეფოს ამ ნაწილში „ალბათ გაუარესდება". (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი მემკვიდრეობა

## გრიგოლ ორბელიანის უცნობი წერილები

გასული საუკუნის ქართულ მწერლობასა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან, რთულ, შინაგანი წინააღმდეგობებით აღსავსე და მეტად საინტერესო ფიგურას წარმოადგენს საზოგადო და სამხედრო-სახელმწიფო მოღვაწე, გენერალი-სარდალი, პოეტი-რომანტიკოსი გრიგოლ დიმიტრის-ძე ორბელიანი.

გრ. ორბელიანზე ბევრი დაიწერა, მაგრამ მომავალში კიდევაც ბევრი დაიწერება. განსაკუთრებით მისი ხანგრძლივი ცხოვრება და სამხედრო-საზოგადოებრივი მოღვაწეობა არ არის მთლიანად შესწავლილი და ამოწურავი. ამასთან ერთად, მის შესახებ ჯერაც ბევრი რამ არქივებშია გაბნეული, შეუსწავლელი და უცნობი. ამ მხრივ ყოველი ახლად მოპოვებული დოკუმენტი თუ წერილი, მათში მოცემული ყოველი ახალი ფაქტი და დეტალი ავსებს, ამდიდრებს და ახალ შუქს ჰფენს პოეტი-სარდლის მრავალფეროვან, შინაარსიან ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

**აქ გვინდა საზოგადოების ყურადღება მივაპყროთ გრ. ორბელიანის მეტად მნიშვნელოვანი ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან უკანასკნელ პერიოდში საბჭოთა კავშირის სახელმწიფო არქივებში ახლად მიკვლეულ უცნობ წერილებზე.**



ამ უცნობი წერილების პირველი ნაწილი — 22 წერილი (78 გვ.) სხვადასხვა დროს (1847-1853 წწ.) გაგზავნილია კავკასიის მთავარმართებელ მ. ს. ვორონცოვისადმი; შემდეგი პერიოდის (1857 წ.) სამი წერილი (10 გვ.) მიმართულია კავკასიის მთავარმართებელ ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვისადმი, ხოლო ორი უკანასკნელი (1865-1867 წლ.) წერილი (4 გვ.) გაგზავნილია მ. ი. ლორის-მელიქოვისადმი.

ამ წერილების ადრესატები რუსეთის იმპერიის ცნობილი სამხედრო და სახელმწიფო მოხელე-მოღვაწეები იყვნენ, რომლებთანაც გრ. ორბელიანი მთელი იმ პერიოდის განმავლობაში დაკავშირებული იყო სამხედრო-სამსახურებრივი საქმიანობითა და მოღვაწეობით. თავისთავად ცხადია, რომ ამ წერილებს თავისი შინაარსით უაღრესად ისტორიულ-საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ და უტყუარ ცნობებს შეიცავენ. ეს წერილებიც ავტორის მდიდარი სამხედრო-ოფიცრული ცხოვრების ბრწყინვალე, ჭეშმარიტი ფურცლებია, რომლებშიც მოთხრობილია პოეტი-მხედრის ხიფათით აღსავსე და მოუსვენარი ცხოვრების მრავალი ამბავი.

რუსეთის იმპერიის არმიის თვალსაჩინო წარმომადგენელი გრ. ორბელიანი 1843 წელს დაინიშნა ავარიის მმართველად — „ავარიის ხანად", როგორც თვითონ თავისთავს უწოდებდა. იგი ამ წლის ივნისს ჩავიდა ხუნძახში, ავარიის ყოფილი ხანების სამფლობელოში. დაღესტანში, ხანგრძლივ (თხუთმეტი წელიწადი) სამხედრო სამსახურში — სხვადასხვა ოლქების მმართველი, პოლკის უფროსი, შემდეგ როგორც მთელი დაღესტნის ჯარების სარდალი, — გრ. ორბელიანი, ოფიციალურ მიწერ-მოწერას — მოხსენებით ბარათებსა და „რაპორტებს" გარდა, პირადად სისტემატურად უგზავნიდა წერილებს თავის უშუალო უფროსებს. აქ პირველ რიგში აღსანიშნავია კავკასიის მთავარმართებელი მ. ს. ვორონცოვი (1844-1854 წლ.), რომელთანაც გრ. ორბელიანს ახლო სამსახურებრივი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა.

მ. ვორონცოვის განუზომლად მნიშვნელოვანი პირადი საარქივო ფონდი დღეს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა არქივსაცავშია დაცული. ცხადია, ამ ფონდებში თავმოყრილ მასალებიდან ჩვენთვის საყურადღებოა გასული საუკუნის 40-50-იანი წლების საქართველოს ისტორიულ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული მასალები.

ამ საარქივო ფონდებში ხანგრძლივი ძიების შედეგად, ჯერ-ჯერობით არასრულად გამოვლინებული ხელნაწერი მასალებიდან, ამჟამად ხელთა გვაქვს მხოლოდ ზემოთ აღნიშნული გრ. ორბელიანის 22 წერილი. პირველი წერილი — 1847 წლის 1 მარტს სოფ. ჭუნგუთაიდან არის გამოგზავნილი. მეორე წერილი იმავე წლის 14 ივნისს თემირხანშურიდან; ამის შემდეგ — 1847-1851 წლების განმავლობაში გაგზავნილი წერილები არა ჩანს. მესამე წერილი დათარიღებულია 1851 წლის 18 დეკემბრით და გამოგზავნილია ზაქათალიდან. დანარჩენი 19 წერილიდან 15 გაგზავნილია 1852 წელს, ხოლო ოთხი უკანასკნელი წერილი დაწერილია 1853 წელს და უკანასკნელი დათარიღებულია — 1853 წლის 20 ოქტომბრით, გაგზავნილი ზაქათალიდან. ამის შემდეგ, როგორც ჩანს, წყდება წერილების გზავნა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, საერთოდ, ამ დროიდან სრულიად შეწყდა მიწერ-მოწერა, რადგან სულ მალე, ხუთი თვის შემდეგ, 1854 წლის 4 მარტს, მ. ს. ვორონცოვმა ავადმყოფობის გამო, დატოვა თბილისი და საზღვარგარეთ, მინერალურ წყლებზე სამკურნალოდ გაემგზავრა. ხოლო იმავე წლის 19 ოქტომბერს მ. ს. ვორონცოვი კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობიდან განთავისუფლდა. მას თითქმის აღარ უცოცხლია და 1856 წელს გარდაიცვალა.

გრ. ორბელიანის წერილები მ. ს. ვორონცოვისადმი (1847-1853 წლ.) და ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვისადმი (1857 წლ.) უფრო ნათელს ხდიან გრ. ორბელიანის სამხედრო დამსახურებასა და შემართებას კავკასიის ბრძოლების ისტორიაში. წერილებში მოყვანილი ფაქტები მოგვითხრობენ, რომ გრ. ორბელიანი იყო აქტიური მონაწილე ან პირდაპირი ხელმძღვანელი შამილის წინააღმდეგ ბრძოლების დროს. დაღესტანში მთელი რიგი აულებისა და ციხე-სიმაგრეების აღებისას: ქითიშასთან (1846 წ.), სალთთან (1847 წ.), გერგებილთან (1848 წ.), ჭუხთან (1849 წ.), ტაბასარანსა და ყაითაღში, ქურისა და სალათაუს სოფლებში და სხვ.

ამ წერილებით არის გადმოცემული შეამბოხეთა აულების დალაშქვრა, შამილისა და მისი ნაიბების წინააღმდეგ ბრძოლა და მათი ამოხოცვა; მთებსა და ხეობებში ტყეების გაკაფვის, მიუვალი თოვლიანი მთების ქიუხებისა და ბილიკების გადალახვა. მთიელებთან შეუპოვარი ბრძოლების ამბები, ცნობები ჰაჯიმურადის და სხვათა შესახებ.

1857 წელს გრ. ორბელიანმა იერიშით აიღო სალათაუში ძველი და ახალი ბურთუნაი. საერთოდ, სალათაუს აღება იყო უკანასკნელი მეომრული ფურცელი მხედარი-სარდლის სამხედრო მოღვაწეობისა. აღსანიშნავია ამ ამბების შესახებ სამი წერილი ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვისადმი.

ცხადია, აღნიშნული წერილები მხოლოდ ნაწილია და არასრული. საერთოდ, საქართველოს ისტორიულ-საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრების ამსახველი ჯერ კიდევ ბევრი მასალა მიუკვლეველ-გამოუმზეურებელია საბჭოთა კავშირის სხვადასხვა არქივთსაცავში. კერძოდ, აღნიშნულ სახელმწიფო მოღვაწეთა პირად ფონდებში გრ. ორბელიანის პირადი წერილები კიდევ საგულვებელი და საძიებელია. თვით ადრესატთა წერილები გრ. ორბელიანისადმი სრულებით არ მოგვეპოვება. ამ რიგის წერილების მნიშვნელობა კი ერთობ დიდია საერთოდ და კერძოდ გრ. ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყოველმხრივი შესწავლისათვის.

ამ ახლად მიკვლეულ წერილებთან ერთად აღმოჩნდა გრ. ორბელიანის „სიტყვა" (ავტოგრაფი, რუსულად), წარმოთქმული 1867 წლის 26 მარტს დიდუბეში გამართულ სადილზე თბილისში მ. ს. ვორონცოვის ძეგლის გახსნასთან დაკავშირებით (იხ. „დროება", 1867, № 14, გვ. 1-3; „საქ. სასულიერო მახარობელი", 1867, აპრილ-მაისი-ივნისი, გვ. 252-260). პოეტის ამ „სიტყვის" ავტოგრაფის მოპოვებასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს წერილებთან ერთად მ. ს. ვორონცოვთან ურთიერთობის შესახებ მთელი რიგი საკითხების ნათელსაყოფად.

გრ. ორბელიანის ახლად მიკვლეული აღნიშნული წერილები მზადდება დასაბეჭდად და უახლოეს პერიოდში გამოქვეყნდება.

პროფესორი
**შალვა გოზალიშვილი.**

• • •

სურათზე: გრიგოლ ორბელიანის მიერ მ. ს. ვორონცოვისადმი გაგზავნილი ერთ-ერთი წერილის ფოტოპირი.



**საღამო ლისის ტბაზე**

ფოტო შ. ზენზიურისა.

---

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას. თქვენი გაზეთის ფურცლებზე ვკითხულობთ მასალებს ალკოჰოლისა და თამბაქოს მავნებლობის შესახებ. განსაკუთრებით მოგვეწონა და, დარწმუნებული ვართ სხვა მკითხველებსაც მოეწონათ, ამას წინათ გაზეთში დაბეჭდილი ვრცელი სტატია თამბაქოს მავნებლობის შესახებ. ასევე აუცილებელია მკითხველები ეცნობოდნენ მასალებს, თუ რა მოსდევს ალკოჰოლის მიღებას. ჩვენ, კერძოდ, ხშირად მოგვისმენია ასეთი ადამიანებისაგან, რომ მხედველობა ძლიერ დამიქვეითდაო და სხვ. ამიტომ ძალიან გვაინტერესებს — რა კავშირი აქვს ალკოჰოლს მხედველობის ორგანოებთან: ამასთან ხშირად გვიხდება კამათი — ბოლოს და ბოლოს შეიძლება სპირტიანი სასმელების სმა თუ არა, და თუ შეიძლება, რა სასმელისა და რამდენის?

ამიტომ თხოვნით მოგმართავთ, გვიამბოთ თქვენი გაზეთის ფურცლებზე, რა ზიანი მოაქვს ალკოჰოლს საერთოდ და კერძოდ მხედველობის ორგანოებისათვის.

გამომცემლობა „ნაკადულის" № 2 სტამბის მუშა-მოსამსახურეები: ტ. ხმელიძე, გ. ხოსრუაშვილი, მ. ტაბატაძე, ვ. ჯავახიშვილი, გ. ქასრაძე".

ეს წერილი ამას წინათ მიიღო „კომუნისტის" რედაქციამ. ვფიქრობთ, მასში აღძრული საკითხი ინტერესს მოკლებული არ იქნება სხვა მკითხველებისთვისაც. დღეს ვბეჭდავთ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური ფსიქიატრიული კლინიკური საავადმყოფოს თვალის ექიმის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ვლ. ბასვიანის საუბარს.

# ალკოჰოლი და მხედველობა

## ექიმის საუბარი

ჰომეროსის „ილიადაში" მოხსენიებულია ორი სამხედრო ექიმი, რომლებიც დაჭრილებს ღვინოს ასმევდნენ კიდეც და მას ჭრილობების შესახვევადაც იყენებდნენ. ასევე სათანადო მნიშვნელობას ანიჭებდა ღვინოს მოხმარებაში ძალის აღდგენის თვალსაზრისით მედიცინის „მამა" — ჰიპოკრატე. და ამავე დროს მეტითინ(?)ბდა მის წინააღმდეგ ჩვენებებზეც.

როგორც ჯანის მომგვრელ საშუალებას, ღვინოს ძველი ქართველი ექიმებიც უნიშნავდნენ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ განკურნებულ ადამიანებს.

როდესაც განვიხილავთ საკითხს, მავნებელია თუ არა ღვინო, ყურადღება უნდა მიექცეს მის შემადგენლობაში ეთილის სპირტს ანუ ეთანოლს — ერთ-ერთ იმ ნივთიერებას, რომელსაც ღვინო მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს და რომელიც მხოლოდ წარმოადგენს.

ღვინის კომპონენტები შედგება ძირითადი ორგანოგენებისაგან (ჟანგბადი, წყალბადი, ნახშირწყლები), რომლებიც საკვებათო საშუალებას წარმოადგენენ, რადგან ისინი ნივთიერებათა ცვლაში მონაწილეობენ.

ღვინოსთან ერთად ორგანიზმში შედის კალიუმი და ფოსფორი, უმნიშვნელო რაოდენობით — ქლორი და ქლორიდები. ეს უკანასკნელნი კი ღვინოს სასარგებლოს ხდიან ჰიპოქლორიდული რეჟიმის დროს. ყურძნის ღვინო დროებით მობილიზაციას უკეთებს ორგანიზმის დამცველ ძალებს, მას ახასიათებს ნაწილობრივი ბაქტერიციდული და ბაქტერიოსტატიკური თვისებები, მას მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ზოგჯერ კუჭ-ნაწლავის ინფექციების წინააღმდეგაც, სუფთა სუფრის ღვინოში, მაგალითად, ბაქტერიები 20-30 წუთში იხოცებიან. ღვინის სამკურნალო მნიშვნელობას აძლიერებს ისიც, თუ მას მივუმატებთ ვიტამინ „C"-საც (ასკილის მჟავას).

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყურძნის ღვინის დადებითი თვისებები დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ მის ზომიერად ხმარებაზე! მაგრამ რადგან ამის ნორმები ჯერ არავის დაუდგენია, როგორც იტყვიან შენი ნორმა შენ თვითონ უნდა იცოდე.

უნდა გვახსოვდეს, რომ ქალები, მოხუცები და ბავშვები საერთოდ ცუდად იტანენ ალკოჰოლს და მისი ძალიან მცირე რაოდენობაც კი იწვევს მათი ნერვული სისტემის მოშლას, მოწამვლას ან დათრობას. 150 გრამი არაყი შეიძლება მომაკვდინებელი იყოს 6-8 წლის ასაკის ბავშვისათვის. ვინც თავის თავს დაკვირვებია, შეამჩნევდა, რომ 15 გრამი ალკოჰოლიც კი აუარესებს თავის ტვინის მუშაობას, ხელს უშლის ნორმალურ აზროვნებას.

ალკოჰოლით გამოწვეული ორგანიზმის ზოგადი დაძაბუნების გამო ლოთებს ადვილად ემართებათ გრიპი, სურდო, ანგინა, ბრონქიტი, ფილტვების ანთება, რევმატიზმი, ნევრალგია; სერიოზულად ზიანდებათ თავის ტვინი, ნერვული სისტემა, გული; ღვიძლის დაზიანება კი შეიძლება გადავიდეს ციროზში, ხოლო კუჭის კატარი დამთავრდეს კუჭის კიბოთი.

მხედველობის — თვალსჩინის — მნიშვნელობა უძველეს ბრძნულ ხალხურ გამოთქმებში ასეა გამოხატული — „გაუფრთხილდი თვალისჩინივით", „ვუფრთხილდები, როგორც თვალის ჩინს" და სხვ.

ცნობილი იტალიელი მხატვარი და მეცნიერი ლეონარდო და ვინჩი თავის თხზულებებში დიდ ადგილს უთმობდა მხედველობის ორგანოს. იგი წერდა: „თვალი არის სულის სარკმელი, ეს არის მთავარი გზა, რომლითაც საერთო გრძნობას შეუძლია იხილოს ბუნების საუკეთესო და უსასრულო ქმნილებანი. თვალი — სათანადო მანძილზე და გარემოში უფრო ნაკლებად ტყუვდება, ვიდრე სხვა რომელიმე გრძნობათა ორგანო".

უდიდესი ფიზიკოსი და ექიმი პროფესორი ჰელმჰოლცი კი ამბობდა: „ადამიანის გრძნობათა ორგანოებიდან თვალი ყოველთვის ითვლებოდა ბუნების ძალთა შემოქმედების საუკეთესო ჯილდოდ. პოეტები უმღეროდნენ, ორატორები აქებდნენ, ფილოსოფოსები ადიდებდნენ მას, ფიზიკოსები კი ცდილობდნენ მიებაძათ მისთვის, როგორც ოპტიკური ხელსაწყოების მიუწვდომელი ნიმუშებისათვის, მაგრამ ამაოდ".

ძველი დროის შეხედულება ადამიანის თვალზე უდავოდ სწორი იყო. ჩვენს დროში კი მეცნიერებმა შექმნეს ისეთი შესანიშნავი ოპტიკური ხელსაწყოები, რომლებიც ძალით და სიზუსტით, მართალია აჭარბებენ თვალს (ტელესკოპი, მიკროსკოპი და სხვ.), მაგრამ ამ ზუსტი ხელსაწყოებით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც საკუთარი ნორმალური მხედველობა აქვს.

ადამიანი გარესამყაროს 90 პროცენტს მხედველობის ორგანოს საშუალებით შეიცნობს. ყოველგვარი სახის შრომისათვის აუცილებელია მხედველობის ორგანოს მონაწილეობა, ამიტომ თვალი მუშა ორგანოს წარმოადგენს.

კაცობრიობის მიერ კულტურის, მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება უმთავრესად თვალის საშუალებით არის შეძენილი.

რასაც თვალით ხედავს ადამიანი, ტვინს გადაეცემა და სათანადო გადამუშავების შემდეგ ხდება გარემოს აღქმა. ნორმალური მხედველობა საშუალებას იძლევა გავარჩიოთ საგნის ფერი, ფორმა, სიდიდე და სხვ. აღწერილია შემთხვევები, როდესაც ზოგიერთ ადამიანს მხედველობა ნორმაზე მეტი აქვს. ასე, მაგალითად, ერთი 15 წლის ბიჭი ძალიან შორ მანძილზე შეუცდომლად ითვლიდა გაქცეული ირმების ჯოგის რქებს. ციმბირელი მონადირეები ციყვს თვალში ახვედრებენ ტყვიას, ძვირფასი ტყავი რომ არ გაუფუჭდეთ. მახვილი მხედველობა აუცილებელია როგორც საშინაო-საყოფაცხოვრებო პირობებში, ისე სამხედრო სამსახურში, ყველა სახეობის ტრანსპორტზე, ასტრონომიაში, ხელოვნებაში, ხატვაში, ფერწერაში, წარმოებაში — საქარხნო, სტამბაში, საავიაციო(?), იგი აუცილებელია მონადირისათვის და ყველა იმ საქმიანობის შესასრულებლად, რომლისთვისაც თვალსაზომს, ანუ მხედველობის სიზუსტეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ლოთის, ალკოჰოლიკის თვალი კი ყველაფერ ამას მოკლებულია. ჰალუცინაციური მოჩვენებების გარდა მას თვალზე შავი წერტილები ეფარება და ხელს უშლის მუშაობაში. როცა მხედველობა დაქვეითებულია, ადამიანი ვერ ერკვევა გარემოში, ეჯახება ირგვლივ მდებარე საგნებს, ზოგჯერ კი საბედისწეროდ იმტვრევა, მახინჯდება, ინვალიდდება ან სულ იღუპება. ლოთი შებინდების შემდეგ ვერაფერს ხედავს, დაუხმარებლად ვერ მოძრაობს. საოჯახო ან სამრეწველო ტრავმების 20-დან 50 პროცენტამდე სიმთვრალის გამო ხდება. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ხულიგნობა, მკვლელობა, ავტომანქანებისა და სხვა სახის ტრანსპორტზე მომხდარი უბედურებათა (ავარიები, კატასტროფები) 90 პროცენტში აღნიშნულია ალკოჰოლის ჭარბად მიღების შედეგად.

რა ხდება თავის ტვინში ალკოჰოლიზმის დროს? სპირტიანის სისტემატურად მოქმედების გამო თავის ტვინი განიცდის მეტისმეტად დიდ პათოლოგიურ ცვლილებებს, მისი ჰემისფეროების ქერქი თანდათანობით იღუპება; იშლება ხვეულები, ტვინის ცალკეული უბნები ცარიელდება, ტვინის გარსები ატროფიას (გაძლევას) განიცდის, იმღვრევა და ქრება ალკოჰოლური მოწამვლის გამო. როგორც ცნობილია, თვალი თავის ტვინის წინ წამოწეული ნაწილია, რომელიც მხედველობის ნერვის საშუალებით უერთდება ტვინს. ამიტომ ყველასათვის გასაგები უნდა იყოს, რომ, რა ცვლილებებიც ხდება თავის ტვინში, ვრცელდება მხედველობის ორგანოზეც. ალკოჰოლი და ყოველგვარი სპირტიანი მხედველობის ვერაგი მტერია, რის მოქმედებაც საბოლოოდ სიბრმავით მთავრდება.

გაუფრთხილდით თვალს — სამაგიეროს ვეღარასოდეს ვერ ჩაისვამთ! ეს კი ბრძნული ხალხური გამოთქმაა, რაც მუდამ უნდა გვახსოვდეს.

**ვ. ბასვიანი.**

---

# სპორტი

## ლიდერები, ჩემპიონები, პრიზიორები

პროფკავშირული სპარტაკიადის სატურნირო ცხრილი დღითიდღე ივსება, უკვე ცნობილია ჩემპიონები და პრიზიორები 16 სახეობაში, წინ არის გადამწყვეტი შეხვედრები.

14 აგვისტოსათვის რესპუბლიკათა გუნდებს შორის ლიდერობას რსფსრ-ის კოლექტივი ინარჩუნებდა. მეორე ადგილზე იყვნენ უკრაინელები, მესამეზე — მოსკოველები. სასპორტო საზოგადოებათა შორის ჯგუფებში ლიდერობენ „სპარტაკი", „კალევი" (ესტონეთი), „ტრუდი" (რსფსრ) და „უროჟაი" (რსფსრ).

კიევში ფინიში ჰქონდათ ძალოსნებს. ქვემძიმე წონაში სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა ლუგანსკელი შტანგისტი ა. კიდიაევი. სამჭიდში მისი შედეგი იყო 492,5 კილოგრამი. ეს ა. კიდიაევის მეორე ოქროს მედალია (პირველი მან მოიპოვა ვოლგოგრადში ფიზკულტურული კოლექტივების ასპარეზობაზე). პირველ მძიმე წონაში წარმატება ი. იაბლონოვსკის ხვდა (ლუგანსკი) — 520 კილოგრამი. ვერცხლის პრიზიორი გახდა თბილისელი ა. ჯაჯელავა — 502,5 კილოგრამი. ამ ასპარეზობაზე ესტონეთის წარმომადგენელმა კარლ უტსარმა ატაცში აჩვენა 157,5 კილოგრამი და ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა.

დედაქალაქის სპორტის სასახლეში პაექრობა ჰქონდათ სპორტულ ტანმოვარჯიშე ქალებს. სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა ვორონეჟელმა ლ. ბურდამ — 75 ქულა.

დაამთავრეს შეჯიბრება მოფარიკავეებმა. საერთო გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყო მოსკოვის სპორტსმენთა კოლექტივი. მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს რსფსრ-ისა და ბელორუსიის მოფარიკავეთა კოლექტივებმა.

გრძელდება ასპარეზობა ველოსპორტში. რბოლაში 50 კილომეტრზე ქალთათვის ყველას აჯობა სპარტაკელმა ნ. კრავცოვამ, ვაჟთა შორის 150 კილომეტრზე რბოლაში უძლიერესი იყო იაროსლაველი ი. მიხაილოვი. 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ქალთათვის პირველი ადგილი დაიკავა თ. სოსნოვა-კრავჩენკომ, ვაჟთა შორის — ვ. ბურემ. ამავე დისტანციაზე გულაღმა ცურვაში გაიმარჯვა ლენინგრადელმა ვ. ბურდელამ. მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში 50 მეტრზე (30 გასროლა) უძლიერესი იყო რ. ანდრეევა — 274 ქულა 300-დან. ხელბურთში გაიმარჯვეს უკრაინის ქალთა და მოსკოვის ვაჟთა გუნდებმა.

## თბილისელთა კიდევ ერთი დამარცხება

ცსკა — „დინამო" (თბილისი). 1:0 (1:0). მოსკოვი. 14 აგვისტო. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი — ბ. ანძილიუსი (კაუნასი).

ცსკა — პშენიჩნიკოვი, ისტომინი, შესტერნიოვი, აფონინი, კაპლიჩნი, სოლოხო, შულიატიცკი, აბდურაიმოვი, ვშივცევი, პოლიკარპოვი, ფიგუნოვი; „დინამო" (თბილისი) — ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ჭოხონელიძე, პეტრიაშვილი (მაჩაიძე), ილიადი, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მატჩისადმი ინტერესი და ბრძოლის სიმწვავე მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობამ განაპირობა. ტემპი თავიდანვე მაღალი იყო, საგოლე მომენტები კი არც თუ ცოტა. წარმატებას არმიელებმა მიაღწიეს. ეს მოხდა 33-ე წუთზე. აბდურაიმოვის ჩინებულ გადაცემას ფიგუნოვის ძლიერი დარტყმა და გოლი მოჰყვა.

მეორე ნახევარში, განსაკუთრებით ბოლო წუთებში იგრძნობოდა დინამოელთა კონტრიერიშები, მაგრამ კარგად ითამაშეს მცველებმა და მეკარე პშენიჩნიკოვმა. მართალია მინიმალური ანგარიშით, მაგრამ კვლავ დამარცხნენ თბილისელები დედაქალაქის სტადიონზე.

### შეხვედრა ლუგანსკში

გუშინ ქუთაისის „ტორპედო" ლუგანსკში შეხვდა ადგილობრივ „ზარიას".

ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს. ეს მოხდა 27-ე წუთზე. გოლის ავტორი იყო შაკუნი. მალე ხერხაძემ წონასწორობა აღადგინა, მაგრამ ტაიმის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე კვლავ შაკუნმა გაიყვანა „ზარია" წინ.

მეორე ნახევარში ქუთაისელთა ერთ-ერთ კონტრიერიშს გოლი მოჰყვა. თავური დარტყმით ბურთი შერგელაშვილმა გაიტანა. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

### მატჩები და შედეგები

ბარდა მოსკოვისა და ლუგანსკისა გუშინ მატჩი შედგა ოდესაში ადგილობრივი „ჩერნომორეცისა" და მოსკოვის „ტორპედოს" გუნდებს შორის. წარმატება ტორპედოელებს ხვდათ ანგარიშით 1:0. ეს ერთადერთი ბურთი გაიტანა გერშკოვიჩმა.

შედგა აგრეთვე იმ გუნდების მატჩები, რომლებიც XV-XX ადგილებისათვის იბრძვიან. ერევნის „არარატმა" საკუთარ მოედანზე დაამარცხა ალმა-ატის „კაირატი" 2:0.

შეხვედრა კუიბიშევში „კრილია სოვეტოვისა" და ტაშკენტის „პახტაკორის" გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ 1:1.

მატჩი სვერდლოვსკში „ურალმაშისა" და მოსკოვის „ლოკომოტივის" გუნდებს შორის დამთავრდა სვერდლოვსკელთა გამარჯვებით 1:0.

### ჭადრაკის მერიდიანებზე

სტოკჰოლმში გრძელდება ჭაბუკ მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატი. წინასწარ ჯგუფებში გათამაშდა სამ-სამი ტური. იმ ჯგუფში, სადაც გამოდის საბჭოთა მოჭადრაკე ა. კარპოვი, ლიდერები არიან მაკეი (შოტლანდია), კაირპუბერი (ავსტრია) და ხუგი (შვეიცარია), რომლებსაც ორ-ორი ქულა აქვთ. კარპოვს 1,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

დებრეცენის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გათამაშდა სამი ტური, დაწინაურდა საბჭოთა მოჭადრაკე ვ. ტუხოვი, რომელსაც 2,5 ქულა აქვს. ბარცას (უნგრეთი), ფილიპს (ჩეხოსლოვაკია) და მალიხს (გდრ) ორ-ორი ქულა აქვთ.

### ხიმკის წყალსაცავზე

მოსკოვში ხიმკის წყალსაცავის „ბილიკზე" დაიწყო ევროპის ჩემპიონატი ბაიდარებსა და კანოეებში. მონაწილეობს 19 ქვეყნის 600-მდე სპორტსმენი.

პირველ დღეს საბჭოთა სპორტსმენებიდან წარმატებას მიაღწია ა. პუჩკომ. მან იუნიორთა ასპარეზობაში ყველას აჯობა კანოეთი ერთეულთა ასპარეზობაში 500 მეტრზე და ოქროს მედალი დაიმსახურა. ქალიშვილთა შორის ბაიდარებით ერთეულთა ასპარეზობაში ყველას აჯობა შვედმა ი. სვენსონმა. ბაიდარებით ოთხიანთა ასპარეზობაში უძლიერესი იყვნენ რუმინელები, ბაიდარებით ორიანების შეჯიბრებაში გაიმარჯვეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნიჩბოსნებმა.

### „ა" კლასის მეორე ჯგუფი

### ლიდერთა ფრე

თბილისის „ლოკომოტივსა" და ვილნიუსის „ჟალგირისს" სატურნირო ცხრილში წამყვანი ადგილები უჭირავთ. ამიტომ, ბუნებრივია, ლიდერთა გუშინდელ მატჩს თბილისში ფეხბურთის მოყვარულები დიდი ინტერესით მოელოდნენ.

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ მეტოქეებმა ვერ გაამართლეს გულშემატკივართა იმედები, თამაში მეტად უღიმღამო იყო და 90 წუთის განმავლობაში ორივე კარი ხელშეუხებელი დარჩა.

დღეისათვის ლოკომოტიველებს 35 ქულა აქვთ და სატურნირო ცხრილში კვლავ პირველი ადგილი უკავიათ. „ჟალგირისი" 34 ქულით მეორე ადგილზეა.

„ლოკომოტივის" შემადგენლობაში იყვნენ — ზერიძე, გეგეჭკორი, პანოვი, ფრიდმანი, ონიანი, ძაგანია, ჯორბენაძე, მაზიაშვილი, შხვაცაბაია, ხუციშვილი, ჰელიძე (მიქაშავიძე).

### „მეშახტე" — „ნემანი"

გუშინ ტყიბულში გაიმართა მატჩი ფეხბურთში ადგილობრივი „მეშახტისა" და გროდნოს „ნემანის" გუნდებს შორის. მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს და შეხვედრა ფრედ დაამთავრეს.

---

## რადიო

**16 აგვისტო**

**პირველი პროგრამით**

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 07.30 — დილის კონცერტი, 08.30 — კამერული მუსიკის კონცერტი, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 09.35 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 11.05 — მღერის ნ. ბრეგვაძე, 11.45 — ბრამსი უნგრული საცეკვაოები, 12.30 — ბავშვებისათვის გაზეთ „ნორჩი ლენინელის" მიმოხილვა, 12.45 — დ. შოსტაკოვიჩი. ვოკალური ციკლი „ხუთი დღე" ე. დოლმატოვსკის ტექსტზე, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი). 13.40 — ნაწყვეტები ლეჰარისა და შუპეს ოპერეტებიდან, 14.00 — რადიოჟურნალი „შოლტი", 14.30 — ს. ცინცაძე. მეორე სიმფონია. 15.00 — სცენები სპექტაკლებიდან ე. ჩერქეზიშვილისა და ნ. გოცირიძის მონაწილეობით, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მუსიკის საათი ბავშვებისათვის. მუსიკა არკადი გაიდარის ცხოვრებასა და შემოქმედებაში, 18.10 — რ. ლაღიძე მუსიკა კინოფილმებიდან. 18.45 — შუმანი. ზღაპრული სურათები ალტისა და ფორტეპიანოსათვის, 19.00 — „თქვენთვის" და თქვენს შესახებ. რადიოჟურნალი ქალებისათვის (მოსკოვი), 19.30 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის, 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — „გამოეხმაურეთ, ვინც იბრძოდით პერემიშლთან!", 22.00 — პოპულარული რუსული კამერული მუსიკის კონცერტი, 22.50 — ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები ს. კორომშინაძის შესრულებით, 23.30 — ბახი. საორკესტრო სიუიტა სი მინორი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

## ტელევიზია

**16 აგვისტო**

11.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან). 11.15 — ბავშვებისათვის „ბუნების საოცრებანი" (გადმოცემა ლენინგრადიდან). 12.40 — მხატვრული ფილმი „მივიწყებულ წინაპართა აჩრდილები", 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.30 — განცხადებები და რეკლამა. 18.40 — გადაცემა ბავშვებისათვის — „ლენინის ქალაქი", 19.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა. მუსიკალური გასართობი გადაცემა, 19.30 — კინონარკვევი, 20.00 — გადაცემა „როცა ოთხ ათეულს გადააბიჯებთ", 20.20 — კინონარკვევი, 20.40 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.05 — ქართული ხალხური სიმღერები, 21.25 — რუმინული მხატვრული ფილმი „ქალწულის თანავარსკვლავედის ქვეშ".

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

## კინო

**16 აგვისტო**

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), საქართველო (წითელი დარბაზი), გაზაფხული, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), ეკრანი, კოლხიდა (საზამთრო) — ნამის წვიმა; ოქტომბერი — ტაიგის მფლობელი; ისანი (საზამთრო), სპარტაკი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი — დაუვიწყარი; ამირანი (საზაფხულო), ისანი (საზაფხულო), კოლხიდა (საზაფხულო) — ქანდარის შვილები; 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — ოქროს საყურე (I, II სერია); საქართველო (მწვანე დარბაზი) — პოემა ქვაში (I, II სერია); საქართველო (საზაფხულო) — მოუხელთებელთა ახალი თავგადასავალი; 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო), პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — აჯანყებულნი; ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — ჟამი ოცნებისა; გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — ბრილიანტის ხელი; გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო), სპორტი, კოლმეურნე — ქალიშვილების მოტაცება; თანამგზავრი — თავგადასავალთა მაძიებელნი; კომკავშირელი — თეთრი როიალი; ნაკადული, ოფიცერთა სახლი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი), ვაკის პარკი — სერენადა დიდი სიყვარულისა; პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — ქალი და მამაკაცი; ბათუმი — დიდი მანევრები.

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-03-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოს — 99 66-10, განყოფილებების: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უშ 03375 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.